

მარტინა ჰინგისი ბრუნდება

A6



თბილისის ახალი მოედნები

A7



"მაქმანის" ერთადერთი სახე

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 2005 წელი. №266 (1166)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

## ამბები

### სახელმწიფო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის ვალის დაბრუნებას არ აპირებს

მომავალი წლისთვის პრობლემის მოგვარება ისევ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ითავა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლება ნაკისრი ვალდებულების შესრულებას არ აპირებს.

A2

## ამბები

### ახალი ტესტები და სხვა სიახლეები

გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოეწყო 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნობრივი ტესტების კრებულების პრეზენტაცია. დაიბეჭდა საგამოცდო ტესტების ნიმუშები ყველა საგანში.

A3

## სამართალი

### ევროსასამართლო მოლაშვილის ჯანმრთელობის შემსწავლელი კომისიის დასკვნებს ელოდება

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ადვოკატებმა ევროსასამართლოსგან წერილი მიიღეს, რომელიც მათი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევას უკავშირდება.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 1/12 | 2 /12 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 15 |
| ტყიბული | 17 | 18 |
| სოხუმი | 17 | 18 |
| დმანისი | 11 | 12 |
| გორი | 13 | 14 |
| ონი | 10 | 12 |
| ზუგდიდი | 19 | 20 |
| ახმეტა | 15 | 15 |
| გაგრა | 15 | 16 |
| სამტრედია | 20 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.1130 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.0861 |
| რუბლი | 0.0623 |

ამბები A 2
ამბები A 3
განცხადება A 4
სამართალი A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8

# უკუღმა დაწერილი კანონები

ნანა ქადაგიშვილი

*პარლამენტმა გასულ კვირას თვითმმართველობების საქმიანობაზე ზედამხედველობის შესახებ კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო, დღეს კი მეორე მოსმენით განიხილავს. როგორც ოპოზიცია აცხადებს, ეს კანონპროექტიც, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის მსგავსად, თვითმმართველობების კონტროლის მაქსიმალურ ცენტრალიზებას ემსახურება და, შესაბამისად, თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას ეწინააღმდეგება.*

ადგილობრივი თვითმმართველობების ჩამოყალიბება თვითმმართველი ერთეულების საქმიანობის კონტროლისა და მათი უფლებების დაცვის მექანიზმების შემუშავებასაც გულისხმობს. საპარლამენტო უმრავლესობამ აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად ცალკე კანონპროექტი შექმნა, ოღონდ საქმის კეთება ბოლოდან დაიწყო - ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტზე მუშაობა დაწყებულიც არ ჰქონდა, როცა ზედამხედველობის შესახებ კანონპროექტი უკვე მზად იყო; ანუ - ჯერ თვითმმართველობების კონტროლის მექნიზმი შექმნა და შემდეგ თვითმმართველობის მოწყობის ფორმა ჩამოაყალიბა. **"თვითმმართველობის ორგანოთა ზედამხედველობის საკითხები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონიდან გამომდინარე უნდა დარეგულირდეს და არა პირიქით",** - აცხადებს "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე. თუმცა, ყველაზე მთავარი, რასაც ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა, თვითმმართველობის საქმიანობაზე სამართლებრივი და დარგობრივი ზედამხედველობის განაწილებაა.

არსებობს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორი ფორმა - სამართლებრივი და დარგობრივი. სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო. სამართლებრივი კონტროლი, ძირითადად, საჭირო ხდება მაშინ, როცა თვითმმართველი ერთეულის მიერ ექსკლუზიური კომპეტენციის ფარგლებში (ანუ როცა თვითმმართველობის ორგანო გარკვეულ უფლებამოსილებას დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს) გამოცემული სამართლებრივი აქტი კანონს ეწინააღმდეგება. დარგობრივი მაკონტროლებელი ორგანო კი ამოწმებს, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული როგორ ასრულებს დელეგირებულ ანუ ცენტრალური ორგანოს მიერ გადაბარებულ უფლებამოსილებას. შესაბამისად, დარგობრივ ზედამხედველობას ის ორგანო ახორციელებს, ვინც თვითმმართველ ერთეულს საკუთარი უფლებამოსილება გადააბარა - ანუ მთავრობა, სამინისტროები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ეროვნული მუზეუმის საერთაშორისო კონტაქტები

### საქართველოს ეროვნული მუზეუმი აფორმებს თანამშრომლობის ხელშეკრულებას ესპანეთის სორიას ჰერცოგთა ფონდთან

2005 წლის 29 ნოემბერს მადრიდში საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ და სორიას ჰერცოგთა ფონდის პრეზიდენტმა რაფაელ ბეხმუა კაბესა დე ბაკამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს, სამუზეუმო პროექტების განხორციელებას, სტიპენდიებსა და სპეციალისტთა სტაჟირებას.

ჰერცოგთა ფონდი შეიქმნა 1990 წელს ესპანეთის ქალაქ სორიაში. მას აქვს ფილიალები მადრიდსა და ესპანეთის სხვადასხვა ქალაქებში. ამ ფონდის საპატიო პრეზიდენტია მისი აღმატებულება ინფანტა მარგარიტა ბორბონი.

სორიას ფონდი ხელს უწყობს მეცნიერებს კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში. ფონდი აგრეთვე აწყობს საერთაშორისო სამეცნიერო სემინარებს, შეხვედრებსა და ფორუმებს. სორიას ფონდი ანიჭებს ყოველწლიურ სტიპენდიებს ახალგაზრდა მკვლევარებს.



*ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიალი.*

2003 წლიდან სორიას ჰერცოგთა ფონდი ახორციელებს საქართველოსა და ესპანეთს შორის მკვლევართა გაცვლით პროგრამას. ახალი ხელშეკრულების საფუძველზე გაფართოვდება ამ ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო თანამშრომლობის პროგრამა.

ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე არჩეულ იქნა სორიას ჰერცოგთა ფონდის საბჭოს წევრად.

აგრეთვე, 2005 წლის 30 ნოემბერს მადრიდის სახელმწიფო არქეოლოგიურ მუზეუმში გაიმართა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის დავით ლორთქიფანიძისა და კატალონიის ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ჟორდი აგუსტის წიგნის - "ტურკანადან კავკასიამდე" - პრეზენტაცია. "ტურკანადან კავკასიამდე" ესპანურ ენაზე გამოსცა "ნეიშენელ ჯიოგრაფიკმა". იგი მოგვითხრობს ადამიანის ევოლუციასა და აფრიკიდან ევრაზიაში მისი განსახლების შესახებ.

# ერაყში გამარჯვების ეროვნული სტრატეგია

ნიკა თარაშვილი

*ბოლოდროინდელი მკვეთრი განცხადებების საპასუხოდ, ერაყში ამერიკელი ჯარისკაცების ყოფნის მიზანშეწონილობის თაობაზე, თეთრი სახლი "შეტევაზე" გადადის და აქვეყნებს დოკუმენტს, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ერაყში გამარჯვების მიღწევის სტრატეგია. დოკუმენტსაც სწორედ ასე ჰქვია: "ერაყში გამარჯვების ეროვნული სტრატეგია". თეთრი სახლი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ იმ ფონზე, როცა ამერიკელ სამხედროთა შორის მსხვერპლმა 2100-ს მიაღწია, ძალადობის ტალღა არათუ შემცირდა, არამედ ბოლო დროს უფრო სასტიკი გახდა, - მან ზედმიწევნით იცის, როგორ იმოქმედოს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*"სხვები დაიხოცნენ ჩვენი თავისუფლებისთვის - ახლა კი ჩვენი ჯერია" - აცხადებს აშშ-ს პრეზიდენტი.*

# პრემიერმა დედაქალაქის ოპოზიციური ფრაქციები ვერ გადაარწმუნა

*ხვალ თბილისის საკრებულო დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტს დაამტკიცებს. მომავალი წლის ბიუჯეტი 320 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც შარშანდელთან შედარებით 122 მილიონი ლარით ნაკლებია. ბიუჯეტთან დაკავშირებით, გუშინ ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლებს შეხვდა. ოპოზიციის აზრით, 2006 წლის ბიუჯეტი პიარ-აქციებსა და მომავალი წლის შემოდგომაზე დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობითი არჩევნების ჩატარებაზეა ორიენტირებული.*

თამარ დვალი

საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტს ისინი მხარს არ დაუჭერენ. მათი აზრით, 2005 წელთან შედარებით, ეს ბიუჯეტი მკვეთრად გაუარესებულია.

**"2006 წლის ბიუჯეტი - ეს არის იაფფასიან მოკლე ეფექტებზე გათვლილი პიარი. ფასადების შეღებვა და გზების საფარის დაგება არ უნდა იყოს პრიორიტეტი, მაშინ, როცა ქალაქში ორი შენობა დაინგრა და 30-მდე კორპუსი დანგრევის პირასაა მისული,"** - აცხადებს ფრაქცია "ახლების" თავმჯდომარე გიორგი მოსიძე.

"ახლების" განცხადებით, 320 მილიონი ლარით განსაზღვრული ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული არ არის მიწისძვრით დაზარალებულთა საკითხი, ქალაქში არსებული ავარიული შენობების და კოოპერატიული ბინათმშენებლობის პრობლემები. მოსიძის თქმით, შემცირებულია სოციალური მუნიციპალური პროგრამების დაფინანსებაც. ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა კი საეჭვოდ არის უგულებელყოფილი.

დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტს მხარს არც "ლეიბორისტები" უჭერენ. "ლეიბორისტებიც" იგივე განცხადებებს აკეთებენ, რასაც "ახლები". მათი თქმით, 2006 წლის ბიუჯეტი ზეიმებზე და დღესასწაულებზეა ორიენტირებული და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერესებს არ ითვალისწინებს. ასეთი დასკვნა მათ თბილისის პრემიერთან შეხვედრის შემდეგ გამოიტანეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მორიგი ცვლილება "მწვანე ზონის" შესახებ

*საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა განიხილა და მხარი დაუჭირა "თბილისის საზღვრებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ კანონში" ცვლილებების პროექტს. პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის საზღვრებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები შესაძლოა გაიყიდოს.*

თამარ დვალი

ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებისა და საკურორტო რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტმა საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს მიმართა. აღნიშნული ინიციატივა თბილისსა და თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყის პრივატიზაციას დასაშვებად მიიჩნევს. ამ ინიციატივას არ ეთანხმებიან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მათი აზრით, კანონში ასეთი სახის ცვლილებების შეტანით ეკოლოგიური სიტუაცია კი არ გამოსწორდება, არამედ პირიქით, გაუარესდება.

**"როგორც ჩანს, ამ ინიციატივის უკან ვიღაცის პირადი ინტერესები დგას. ჩვენი ინფორმაციით, სამშენებლო ბიზნესში პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანიაა ჩართული. საერთოდ, ტყეების და, მით უმეტეს, მწვანე ზონის ტყეების გაყიდვა დაუშვებელია,"** - აცხადებს გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია "ლობოს" პრეზიდენტი ლაშა ჩხარტიშვილი, რომელიც ბოლო პერიოდში გარემოს დაცვით სფეროში მიმდინარე ნეგატიურ მოვლენებს უარყოფითად აფასებს.

შეგახსენებთ, რომ მწვანე ზონის ტყეებში იგულისხმება დასახლებული პუნქტების ირგვლივ მდებარე ტყეები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაც სანიტარიული და რეკრეაციულია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გაზის სამომხმარებლო ტარიფი გაზაფხულამდე უცვლელი დარჩება

*სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ხანგრძლივი მოლაპარაკებების მიუხედავად, რუსული "გაზპრომი" საქართველოს ბუნებრივი აირის ტარიფს უძვირებს. 2006 წლის 1 იანვრიდან რუსული გაზის ფასი თითქმის 80 პროცენტით გაიზრდება. მიუხედავად ამისა, მინისტრი გილაური პირობას დებს, რომ მომავალი წლის გაზაფხულამდე მოსახლეობა გაზს კვლავ ძველი ტარიფით მიიღებს. მისივე თქმით, სხვაობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიფარება.*

მარიამ ჯაჭვაძე

რა ტარიფს გადაიხდის მოსახლეობა მომავალი წლის გაზაფხულიდან, ამ კითხვაზე პასუხი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ჯერ არ აქვს. სამაგიეროდ, აქ კარგად იციან, რომ "გაზპრომი" ყოველ 1000 კუბურ მეტრ აირზე, დღევანდელი 65 აშშ დოლარის ნაცვლად, მომავალი წლიდან 110 დოლარს ითხოვს. ტარიფის ასეთი მკვეთრი ზრდა ლოგიკურად უნდა იწვევდეს ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფის ზრდას.

ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განმარტავენ, რომ აირის საფასურის 110 დოლარამდე გაზრდა საქართველოში გაზის სამომხმარებლო ტარიფის 32 პროცენტით გაძვირებას უნდა იწვევდეს. მათი გათვლებით, თბილისში 1 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი 33 თეთრი, ხოლო ქუთაისში 35 თეთრი ეღირება. თუმცა ნიკა გილაური გუშინ ჟურნალისტებს უმტკიცებდა, რომ 1 იანვრიდან გაზაფხულამდე ძველ და ახალ ტარიფებს შორის სხვაობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიფარება და, შესაბამისად, ამ დრომდე მოსახლეობა მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს კვლავ დღეს არსებული ტარიფით გადაიხდის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბსე-სთვის ქუთაისი პრიორიტეტულია

*ქუთაისის მოსახლეობის ნაწილმა, დაახლოებით 50-მა მცხოვრებმა, გუშინ ენერგოკომპანიის დასავლეთის ცენტრალური ფილიალის ოფისთან აქცია გამართა. ისინი აბონენტებზე ელექტროენერგიის კომუნალური წესით დარიცხვას აპროტესტებდნენ და ენერგოკომპანიის ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეხვედრას ითხოვდნენ.*

მოსახლეობას შეხვდა სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთის ცენტრალური ფილიალის დირექტორი შალვა რუხაძე, რომლის განცხადებით: **"ამჟამად, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პირველად ინტერესს წარმოადგენს აბონენტთა ინდივიდუალური გამრიცხველიანება, ქუთაისი ამ მხრივ პრიორიტეტია. მიმდინარე მონაცემებით, მთელი ქალაქის მასშტაბით დაიდგა დაახლოებით 20500 ახალი მრიცხველი. ამ პროექტის ფარგლებში, ქუთაისში სულ უნდა გამრიცხველიანდეს 35000 აბონენტი, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს, მომავალი 2006 წლიდან ქუთაისში მომხმარებლების მიერ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ინდივიდუალური მრიცხველებით განახორციელოს."**

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობის თქმით, ქუთაისში ინდივიდუალური გამრიცხველიანების სრულად დასრულებამდე ქალაქის რიგ უბნებში, სადაც მომხმარებლებს მოწესრიგებული არ აქვთ ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძები, მოხმარებული ელექტროენერგიის დარიცხვა საერთო მოხმარების მრიცხველით ხორციელდება. შალვა რუხაძის განმარტებით, ხსენებულ დასახლებეში ამ ეტაპზე ტექნიკურად შეუძლებელია მომხმარებელთა ინტერესების ინდივიდუალურად დაცვა, მაგრამ სრული გადახდის შემთხვევაში თითოეული აბონენტი უზრუნველყოფილია 24-საათიანი ენერგომომარაგებით. იმ აბონენტებს, რომელთა აღრიცხვის კვანძი ტექნიკურად გამართულია, მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდა საკუთარი ინდივიდუალური მრიცხველების მიხედვით უწევს. ბოლო მონაცემებით, ქუთაისში ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო დენის მიწოდება ინდივიდუალურად შეწყვეტილი აქვს 5054 აბონენტს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და დაფინანსებით განხორციელებული კომუნალური გამრიცხველიანება და მიმდინარე წლის სექტემბერში ქუთაისში დაწყებული ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამა კომპანიას საშუალებას აძლევს, სტაბილური ენერგომომარაგების ფონზე მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა და საფასურის ამოღება. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ოქტომბერში ქუთაისის მომსახურების ცენტრმა მოიხმარა 9 344 422 კვტ/სტ ელექტროენერგია, რაც 2004 წლის ოქტომბრის მოხმარებასთან (10 309 336 კვტ/სთ) შედარებით მილიონი კილოვატსაათით ნაკლებია. საპირისპიროდ, გაზრდილია ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი. თანხების მობილიზების გაუმჯობესება კომპანიას საშუალებას მისცემს, ზამთარში უპრობლემოდ განახორციელოს ელექტროენერგიის იმპორტი და დაიწყოს აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შალვა რუხაძის თქმით, სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთის ცენტრალური ფილიალი იმერეთის მხარეში, და კერძოდ - ქუთაისში, ენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისთვის ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას განაგრძობს.

*24 საათი*

# ქართული ღვინის ექსპორტს ევროკომისიას შეუწყობს ხელს

ქართული ღვინის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, ევროკომისიის და გერმანიის ტექნიკური პროგრამის მიერ დაფინანსებული კვლევის - "ქართული ღვინის დისტრიბუცია გერმანიაში" პრეზენტაცია გაიმართება ხუთშაბათს ევროკომისიის წარმომადგენლობაში. როგორც პრაიმ-ნიუსს ევროკომისიის საქართველოს წარმომადგენლობიდან აცნობეს, კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს ღვინის სექტორში მომუშავე პირებს ქართული ღვინის ევროპის ბაზარზე ექსპორტირებაში. კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფასები, ღვინის და ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი საქართველოდან გერმანიაში და ევროკავშირის ბაზარზე.

*პრაიმ-ნიუსი*

# უცნობი თავისუფლება

FM ცნობი 98.0

## გადაცემის სტუმარია ადამიანის უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე

**ნანა კაკაბაძე:** შეიძლება ითქვას, ახლა ციხეებში არსებული მდგომარეობა გაცილებით გაუარესებულია, ვიდრე რევოლუციამდე იყო. სამწუხაროდ, ეს რეალობაა.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** რამდენიმე მაგალითი შედარებისთვის...

**ნანა კაკაბაძე:** მაგალითად, დღეს ციხეებში არსებობს ორი ტიპის პრობლემები - ლოკალური, რომლებიც ადგილზე უნდა მოგვარდეს, და მეორე - გლობალური პრობლემები, რომლებსაც ვერც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და ვერც იუსტიციის სამინისტრო და პენიტენციური დაწესებულება ვერ გადაწყვეტს. როდესაც საუბრობენ იმის შესახებ, რომ ციხეები გადატვირთულია, ერთ ადგილზე ხშირად ოთხი და ხუთი ადამიანი მოდის - ანუ მათ, ფაქტობრივად, დღე-ღამის განმავლობაში ძილის საშუალება არ აქვთ, ამ პრობლემას იუსტიციის სამინისტრო ვერანაირად ვერ გადაწყვეტს. ეს არის პოლიტიკა, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ატარებს - უმცირეს დანაშაულზე გამოიყენება საპატიმრო სანქციები და ხელოვნურად ხდება ციხეების გადატვირთვა. არა მარტო ციხეების გადატვირთვაა პრობლემა, არამედ პრობლემაა ისიც, რომ ეს ადამიანები გაურკვეველი დანაშაულისთვის ხვდებიან ციხეში.... რას ვგულისხმობ გაურკვეველ დანაშაულში? თქვენ რომ ჩამოიაროთ ციხეები და გამოკითხოთ პატიმრები, 70-მა პროცენტმა, თითქმის, არც იცის, რისთვის აღმოჩნდა ციხეში. ბოლო ფაქტს გეტყვით - უკვე ცხრა თვეა, პატიმარი დაკავებულია, ზის ციხეში იმისთვის, რომ ნასვამ მდგომარეობაში ჩაიარა იმ ქუჩაზე, სადაც გატეხილი მაღაზია ყოფილა. ის იყო ძალიან ნასვამი და ერთადერთი, რაც ამ ყველაფრიდან ახსოვს, ისაა, რომ შეხვდა პოლიციელი, რომელმაც ორი ბოთლი ლუდი და ერთი ბოთლი ღვინო მისცა ხელში. ამ ადამიანს, ეტყობა, პატრულის რეკლამა აქვს ნანახი; იფიქრა, - მართლა რა კარგი გახდა პოლიცია, ლუდი მაჩუქესო; გახედვაც ვერ მოასწრო, უცებ დააპატიმრეს. აბრალებენ, რომ მაღაზია მისი გაძარცულია. თუმცა, მაღაზიის მეპატრონე აცხადებდა, რომ ეს ადამიანი მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდა ქუჩაზე, როცა მაღაზია უკვე გატეხილი იყო. ამას შედეგი არ მოჰყოლია. ეს ადამიანი, უკვე მეცხრე თვეა, ციხეში ზის და ჯერ სასამართლო პროცესიც კი არ დანიშნულა. ასეთი უამრავია - ბავშვებიც, მოზრდილებიც; ან ჩაგდებული იარაღით ან ჩადებული ნარკოტიკით ან მართლაც გაუგებარი ბრალდებების გამო. თუ ამას გლობალურად არ მოევლო, თუ ეს არასწორი და არაპროფესიული მიდგომა არ აღმოიფხვრა, რა თქმა უნდა, მივიღებთ იმას, რაც დღეს გვაქვს. საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ძალიან სუსტია და არც მუშაობს - ეს ისეთი პრობლემაა, რომლებიც პარლამენტის დონეზე უნდა გადაწყდეს. მაგრამ, არის ადგილობრივი პრობლემებიც - ვთქვათ, ადმინისტრაციისა და პატიმრის დამოკიდებულება; ის, რომ სანიტარული მდგომარეობა ძალიან მძიმეა; საკვები, ფაქტობრივად, რომ არ მიეწოდებათ, რადგან ის მინიმუმი რაც არის გამოყოფილი, პატიმარს არ ყოფნის. ამას სჭირდება სერიოზული ლობირება მინისტრის მიერ, რომ დაფინანსება გაიზარდოს. ის კრიმინალური შემთხვევები, რაც ციხეში ხდება და ამაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაცია; დაავადებების გავრცელება, რაც, ხშირ შემთხვევაში, სიკვდილს იწვევს და არ ხდება ამის გამოძიება და ა. შ. ეს მხოლოდ პატიმრის და ციხის პრობლემა კი არაა, ეს არის საზოგადოების პრობლემა, იმიტომ, რომ ეს ადამიანები საზოგადოებაში, ოჯახის წევრებთან ბრუნდებიან გაღიზიანებულები და აგრესიულები; თუნდაც, ციხეებში გავრცელებული დაავადებების გარეთ გამოტანა...

**ალექსანდრე ელისაშვილი:** კოტე კემულარია ვერ დავითანხმეთ ჩვენს სტუდიაში მოსვლაზე. საერთოდ, ისეთი ტენდენციაა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები თავს არიდებენ ღია დებატებს. ხელისუფლება თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი...

**ნანა კაკაბაძე:** იმიტომ არის კემულარია ჩაკეტილი, რომ ასეთია ქვეყნის პოლიტიკა. წინა ხელისუფლებასთან შედარებითაც კი, დღევანდელი ხელისუფლება ათჯერ უფრო ჩაკეტილი და მიუწვდომელი გახდა საზოგადოებისათვის. ამ ხელისუფლებას ყველაზე უფრო მძაფრად ჰქონია გამჯდარი საბჭოური მეთოდები. მათ ჰგონიათ, რომ რაც უფრო დაკეტილი და დახურული იქნება სივრცე, მით უფრო ნაკლებად გავა ინფორმაცია. ამ დროს პირიქითაა. კემულარია რომ საჯარო, ღია პიროვნება იყოს, მინისტრი აღარ იქნებოდა...

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ერთადერთი გამონაკლისია კახა ლომაია - მედიის მიმართ ის ერთადერთი გახსნილი მინისტრია...

# პრემიერმა დედაქალაქის ოპოზიციური ფრაქციები ვერ გადაარწმუნა

პირველი გვერდიდან

"ლეიბორისტების" მტკიცებით, მომავალი წლის ბიუჯეტი, წინა წლების ბიუჯეტების მსგავსად, კორუფციულია. ამის მაგალითად ისინი ბიუჯეტის ნოვაციას ასახელებენ, რომლის მიხედვით, ქალაქის მთავრობა სოციალურად დაუცველი ფენების სამედიცინო დაზღვევას საკუთარ თავზე იღებს. როგორც გუგავა აცხადებს, ბიუჯეტში ერთი ადამიანის დასაზღვევად 55-60 ლარია გათვალისწინებული, რაც, არარეალური თანხაა და ადამიანის სამედიცინო დაზღვევას ვერ უზრუნველყოფს.

"ლეიბორისტები" საკრებულოს სხდომაზე აპირებენ მერიის იმ ჩინოვნიკების დასახელებას, რომელთაც საკუთარი კორუფციული ინტერესები გააჩნიათ.

2006 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი სახით დამტკიცებას არც ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" ეთანხმება. მათი თქმით, დედაქალაქის ბიუჯეტი ზედმეტად ცენტრალიზებულია. გამოჩნდა ტრანსფერების გრაფები, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება არჩევნების დროს ზემოქმედების ბერკეტებს გამოიყენებს.



*თბილისის ბიუჯეტის განხილვა საკრებულოში ხმაურიანი იქნება.*

**"გათვლები არაადეკვატურად არის გაკეთებული. საქალაქო სამსახურებმა დაუსრულებელი და ბუნდოვანი პროგრამები წარმოადგინეს. იმას, რაც კულტურის სამსახურმა შემოიტანა, პროგრამასაც ვერ ვუწოდებთ. აბსოლუტურად ბუნდოვანია კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ შემოტანილი პროგრამაც,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა ვაჟა იმნაიშვილმა. მისი აზრით, ბიუჯეტის დამტკიცება ნაჩქარევად და გაუაზრებლად ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია ახალ ბიუჯეტს აკრიტიკებს, თბილისის პრემიერი მას მერიის ისტორიაში "ყველაზე გამართულ ბიუჯეტად" მიიჩნევს. 2006 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტული კვლავ გზების დაგება და თბილისის იერსახის მოწესრიგებაა.

როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა აღნიშნა, იგი დედაქალაქის ბიუჯეტს ჯერ არ გასცნობია. მისი აზრით, რაც არ უნდა კარგი პროექტი წარმოადგინოს მთავრობამ, ოპოზიცია მის კრიტიკას მაინც შეეცდება, ასე რომ, მათი შენიშვნების მიუხედავად, ბიუჯეტი ხვალინდელ სხდომაზე მაინც დამტკიცდება. **"საპრეზიდენტო უმრავლესობასთან თითოეული დეტალი უკვე შეთანხმებულია. ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლებს თბილისის პრემიერი შეხვდა და თუკი მათ რაიმე "ჭკუასთან ახლო" შენიშვნა გამოთქვეს, ალბათ, გავითვალისწინებთ,"** - აცხადებს ბეგაშვილი.

# მორიგი ცვლილება "მწვანე ზონის" შესახებ

პირველი გვერდიდან

**"გამოდის, რომ ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე ვიღაცეები ფულის გაკეთების გზებს ნახულობენ. თუ ასე გაგრძელდა, ცოტა ხანში თბილისი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. მწვანე ზოლის გაჩეხვა იგეგმება "მზიურშიც", სადაც ქალაქის მთავრობამ კონკურსი კანონდარღვევით გამოაცხადა,"** - აღნიშნა ჩხარტიშვილმა. მისივე განმარტებით, ცოტა ხნის წინათ "კონსერვატორებმა" სარჩელი შეიტანეს სასამართლოში. რის საფუძველზეც, "მზიურის" ტერიტორიაზე კონკურსის გამოცხადება უნდა შეჩერებულიყო, რაც არ მომხდარა. არასამთავრობოები საზოგადოებას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებენ, რადგან საზოგადოების აქტიურობამ რიგ შემთხვევებში შედეგი უკვე გამოიღო. ამის მაგალითად მათ იპოდრომის ტერიტორიაზე შეჩერებული მშენებლობები მოჰყავთ.

აღსანიშნავია, რომ კანონის ძველი ნორმით, ასეთი მიწების პრივატიზაცია, მათთვის კატეგორიის შეცვლა და მათი იჯარით გაცემა აკრძალული იყო. პრეზიდენტის ინიციატივით, ეს აკრძალვა განსაკუთრებულ შემთხვევებში არ იმოქმედებს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ამ პრივატიზაციის მიზანი თბილისისა და მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება და საკურორტო რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარება იქნება. ასევე გამონაკლისი იქნება ეკლესიების მშენებლობებიც. ასეთ შემთხვევებში მიწის პრივატიზების ან იჯარით გაცემის საკითხის თაობაზე გადაწყვეტილებას მთავრობა მიიღებს.

**"ამ ინიციატივით ჩვენ არ გამოსულვართ, ეს პრეზიდენტის ინიციატივა იყო. ცვლილების თანახმად, მინისტრთა კაბინეტი გადაწყვეტს, თუ სად შეიძლება მოხდეს ტყის გასხვისება. ძირითადად, ეს ეხება ეკლესიების მშენებლობასა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ასეთი რამ მოხდება იშვიათ შემთხვევებში. გამწვანებულ ზოლში ბინათმშენებლობას არც მე ვეთანხმები. თბილისთან ახლოს ბევრგანაა თბილი წყლები და რატომ არ შეიძლება ამ ადგილებში ბალნეოლოგიური ცენტრის გაშენება?"** - კითხულობს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი. მისივე განმარტებით, როდესაც ასეთ საკითხებს მინისტრთა კაბინეტი განიხილავს, საჯაროობაც მეტი იქნება. რაც შეეხება ამ გადაწყვეტილებით გარკვეული პირების შესაძლო დაინტერესებას, ლეკიშვილი ინფორმაციას არ ფლობს და აცხადებს, რომ ასეთი რამისგან არავინაა დაზღვეული.

# სახელმწიფო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის ვალის დაბრუნებას არ აპირებს

*საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა ვალის გასტუმრება თავის დროზე ცენტრალურმა ხელისუფლებამ ქალაქის მთავრობას გადააბარა. თუმცა, დღემდე ბევრი არაფერი შეცვლილა. მომავალი წლისთვის კი პრობლემის მოგვარება ისევ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ითავა, მგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლება ნაკისრი ვალდებულების შესრულებას არ აპირებს.*

ნათია მსხილაძე

შეგახსენებთ, რომ 1990 წელს დაწყებული კოოპარატიული ბინების მშენებლობა 1992 წელს, ქვეყანაში არსებული არეულობის გამო, შეჩერდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ კოოპერატივებს სთხოვა, მშენებლობების ხარჯები ბიუჯეტში სრულად ჩაერიცხათ, სამაგიეროდ ხელისუფლება ყველა დაწყებული მშენებლობის 1995 წლამდე დამთავრებას საკუთარ თავზე იღებდა. მთავრობამ პირობა ვერ შეასრულა და კოოპერატივების წევრთა მიერ გადახდილი თანხები შიდა ვალად აღიარა. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა ასოციაციის მონაცემების მიხედვით, 1999 წელს საქართველოს მასშტაბით კოოპარატივების წევრთა რაოდენობა 7 100 ოჯახს აღწევდა, მათ მიმართ სახელმწიფოს დავალიანება კი - 157 253 100 ლარს.

პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის ბრძანების თანახმად, კოოპერატიული ბინათმშენებლობები ქალაქის ბიუჯეტიდან 2006 წლამდე უნდა დაფინანსებულიყო. სახელმწიფომ კი 5 წლის მანძილზე მხოლოდ ორი კოოპერატიული სახლის აშენება მოახერხა და 2 413 113 ლარი კომპენსაციის სახით გასცა - ანუ სულ 181 მოქალაქე დააკმაყოფილა. რიგში კი კიდევ 4 500 ადამიანი დგას.

წელს კი ხელისუფლებამ მევალეთა და ვალის ოდენობის ხელახალი ინვენტარიზაცია მოითხოვა, რადგან, როგორც ფინანსთა სამინისტროში განგვიმარტეს, წინა წლებში თანხები ხშირად არასწორად ნაწილდებოდა და კოოპერატივების ზოგიერთმა წევრმა კუთვნილზე ბევრად მეტი აიღო. მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის დადგენილების თანახმად, ფინანსთა სამინისტრომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა ვალის ინვენტარიზაცია 2005 წლის გაზაფხულზე დაიწყო და პირველ ივლისს დაასრულა. თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ საბინაო-სამშენებლო კოოპერტივების წევრთა რაოდენობის დადგენა მოხერხდა. მათი რაოდენობა 8 050-ს შეადგენს - ძველ მონაცემებთან შედარებით, 950-ით მეტს. მათ მიმართ დავალიანების ოდენობა კი ფინანსთა სამინისტროს ჯერ კიდევ არ დაუდგენია. როგორც სამინისტროში განგვიცხადეს, ვალის გამოთვლის მექანიზმი არ არსებობს. **"ამ მექანიზმსა და შემდგომ ვალის დაფარვის ფორმას სამთავრობო კომისია დაადგენს და, შესაბამისად, კოოპარატიული ბინათმშენებლობების წევრთა ვალის გასტუმრებაც ამის შემდეგ დაიწყება. აქედან გამომდინარე, 2006 წლის ბიუჯეტში კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრთათვის ვალის დასაფარად თანხები ამ ეტაპზე არ დევს",** - განგვიცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გობეჯიშვილმა.

არადა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, პარლამენტი მთავრობისგან ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვლისწინებული ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულებას ჯერ კიდევ ამა წლის ზაფხულში მოითხოვდა. **"ეს საკითხი კომიტეტში ახლახან განვიხილეთ და მთავრობას მივწერეთ წერლი, რომლითაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა მიმართ ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება მოვთხოვეთ",** - განგვიცხადა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა.

# საქართველოში სიგარეტის ღერებით რეალიზაცია აიკრძალება

გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე იმსჯელა. კანონპროექტი ითვალისწინებს თამბაქოს მოხმარების შეზღუდვას, კერძოდ, თამბაქოს მოწევა აიკრძალება სკოლამდელი აღზრდის, სასწავლო და 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში, ბენზოგასამართი სადგურების მთელ ტერიტორიაზე, ყველა იმ შენობა-დაწესებულებაში, სადაც ინახება ცეცხლსაშიში ნივთიერებები, ყველა სხვა სახის სამუშაო ადგილებში, მათ შორის - უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციების დახურულ შენობანაგებობებში, მასობრივი თავშეყრის ადგილების დახურულ შენობა-ნაგებობებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის - ავტობუსებში, სამარშრუტო ტაქსებში, ტრამვაი-ტროლეიბუსებში, მატარებლებში, მეტროში, საჰაერო და საზღვაო ხომალდებში, თუ რეისის ხანგრძლივობა ოთხ საათს არ აღემატება.

იმ შენობა-დაწესებულებების ხელმძღვანელები, სადაც ინახება ცეცხლსაშიში ნივთიერებები, ვალდებულები არიან, თამბაქოს მოწევისათვის სპეციალური ტერიტორია გამოყონ. თამბაქოს მოსაწევი ადგილი უნდა იყოს ადვილად გასანიავებელი ან მუდმივად ღია ფანჯრით. მოწევის ადგილზე უნდა იყოს ერთი ან მეტი ურნა. მოსაწევი ადგილი არ უნდა იყოს ხილვადი შიდა ინტერიერიდან. თუ დაწესებულების ადმინისტრაცია მის ტერიტორიაზე მოსაწევი ადგილის გამოყოფას ვერ უზრუნველყოფს, მაშინ დაწესებულების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა აიკრძალება. თამბაქოს წევის დემონსტრირება აიკრძალება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, თუ ეს არ არის შემთხვევითი ჩაწერა ან შემოქმედებითი ჩანაფიქრის ნაწილი.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის შეზღუდვას. კერძოდ, თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია აიკრძალება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სკოლებში, აგრეთვე, 18 წლის ასაკის პირებისათვის განკუთვნილ ორგანიზაცია-დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე 50 მეტრის დაშორებით. ამასთან, თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია აიკრძალება ყველა სახის სამედიცინო, სასწავლო, სახელმწიფო, სპორტულ და კულტურულ დაწესებულებებში, იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც ხდება ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია.

აიკრძალება, აგრეთვე, სიგარეტის ღერებით რეალიზაცია და სიგარეტის გაყიდვა 18 წლამდე ასაკის პირებზე. აღნიშნულ კანონპროექტს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა დღეს მხარი დაუჭირა. მას მომავალ სასესიო კვირაში, სავარაუდოდ, პარლამენტის პლენარული სხდომა განიხილავს.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### გაზტურბინების მორიგი პარტიის მონტაჟის საკითხი გაურკვეველი რჩება

გაზტურბინების მორიგი პარტიის მონტაჟის საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ არჩილ მამათელაშვილმა საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" განუცხადა, გაზტურბინების დამონტაჟების სურვილი, "ენერჯი ინვესტის" გარდა, კიდევ რამდენიმე კომპანიამ გამოთქვა. კერძოდ, ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატულების განაცხადს ხუთი კომპანია გამოეხმაურა, მათ შორის, ქართული კომპანიებიც. მამათელაშვილის თქმით, მათ მიერ ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადების წარდგენის ვადა პირველ ოქტომბრამდე ამოიწურა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ გაზის ტარიფის საკითხი გაურკვეველი რჩება, კომპანიებს შორის გამარჯვებულის გამოვლენა ვერ ხერხდება. **"მათთვის პასუხის გაცემის ვადა, სავარაუდოდ, ერთი თვით გადაიწევს. ვფიქრობთ, თუ როგორ გავლენას იქონიებს ახალი გაზტურბინების მონტაჟი ელექტროენერგიის ტარიფზე, ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ,"** - განაცხადა მამათელაშვილმა. გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გამარჯვებული კომპანიის მიერ საქართველოში დამონტაჟებული გაზტურბინები ენერგოსისტემას კიდევ 270 მეგავატ ენერგიას შემატებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მთავრობას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საკუთარი სიხშირეები ექნება

გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა დაჩქარებული წესით განიხილა საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" და ასევე მისგან გამომდინარე ცვლილებების კანონპროექტები "მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. კანონპროექტები სხდომაზე კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა წარმოადგინა. როგორც მან განაცხადა, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შემოსავლების 80 პროცენტი, ასევე გაუხარჯავი თანხები და გაუთვალისწინებელი შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება. ამავე ცვლილებებით, მთავრობას ექნება საკუთარი სიხშირეები სახელმწიფო, საჯარო ფუნქციების, თავდაცვის, უშიშროების და მართლწესრიგის ფუნქციის განსახორციელებლად, რომლებიც საჯაროდ გამოცხადდება და მათზე აუქციონი აღარ ჩატარდება. ასევე კომუნიკაციების სექტორში ულიცენზიო საქმიანობა თავდაპირველად 5000, მეორედ კი 10 000 ლარით დაჯარიმდება. **მედიანიუსი**

### კომუნიკაციის სფეროში ლიცენზიები მემკვიდრეობით გადავა

კომუნიკაციის სფეროში ლიცენზიები მემკვიდრეობით გადავა. ამის შესახებ გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური კომიტეტის სხდომაზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილმა განაცხადა. კომიტეტმა გუშინ განიხილა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ". აგრეთვე, აღნიშნული კანონპროექტიდან გამომდინარე, კანონპროექტები "მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე. როგორც ქიტოშვილმა განაცხადა, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შემოსავლების 80 პროცენტი, ასევე, გაუთვალისწინებელი შემოსავლები და გაუხარჯავი ხარჯები მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება. ცვლილებების მიხედვით, მთავრობას ექნება საკუთარი სიხშირეები, რომლებიც საჯაროდ გამოცხადდება და მათზე აუქციონები აღარ ჩატარდება. **"მთავრობას აღნიშნული სიხშირეები საკუთარი სამაუწყებლო ორგანოების ფუნქციონირების განხორციელებისთვის სჭირდება,"** - აღნიშნა ქიტოშვილმა. მისივე თქმით, ცვლილებები შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლითაც განისაზღვრება ჯარიმები კომუნიკაციების სექტორში ულიცენზიოდ განხორციელებული საქმიანობისთვის. კერძოდ, ულიცენზიოდ საქმიანობის განხორციელება 5 000 ლარით დაჯარიმდება, ხოლო მსგავსი ქმედების გამეორება - 10 000 ლარით. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# უკუღმა დაწერილი კანონები

პირველი გვერდიდან

როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რეალური თვითმმართველობა მაშინ ჩამოყალიბდება, როცა თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში ცენტრი ნაკლებად ჩაერევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითმმართველ ერთეულს დელეგირებულზე მეტი უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური უფლებამოსილება და მის განსახორციელებლად საჭირო სახსრებსაც განკარგავდეს. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ანუ დარგობრივი კონტროლიც ნაკლები იქნება.

**"ამას მოითხოვს თვითმმართველობის ევროპული ქარტიაც. ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული კანონპროექტი კი აღნიშნულ ქარტიას ეწინააღმდეგება, რადგან, ამ კანონპროექტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის წილი ბევრად მეტია, ვიდრე სამართლებრივი ზედამხედველობის",** - აცხადებს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე თენგო შერგელაშვილი (ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ალტერნატიული კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი).

დღეს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი აღნიშნულ კანონპროექტს, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონპროექტთან ერთად, მეორე მოსმენით განიხილავს. პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის პირველი მოსმენის დროს ოპოზიციის აქტიურ წინააღმდეგობას არავითარი შედეგი არ გამოუღია. საეჭვოა, დღევანდელმა დღემ რაიმე შეცვალოს.

# გაზის სამომხმარებლო ტარიფი გაზაფხულამდე უცვლელი დარჩება

პირველი გვერდიდან

მინისტრის ვარაუდით, "გაზპრომთან" ახალი ხელშეკრულება მომავალ კვირას თბილისში გაფორმდება. გასულ კვირას მოსკოვში დაწყებული მოლაპარაკებების გასაგრძელებლად, თბილისში "გაზპრომის" მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრ რიაზანოვი ჩამოვა. გილაურის ინფორმაციით, ამ შეხვედრაზე ქართული მხარე "გაზპრომის" ხელმძღვანელობას ბუნებრივი აირის საფასურის სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის გაზრდას მოსთხოვს.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლება აპირებს, "გაზპრომს" სომხეთში გაზის ტრანზიტი გაუძვიროს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ქართული მხარე რუსული გაზის სომხეთში სატრანზიტო გადასახადის, სავარაუდოდ, 5-6-ჯერ გაზრდას აპირებს. **"ჩვენ არ ვუძვირებთ გაზს სომხეთს, ტრანზიტს ვუძვირებთ "გაზპრომს", მან ეს გაზი სადაც უნდა, იქ წაიღოს,"** - განმარტა გილაურმა. მისივე თქმით, თუკი ტრანზიტის ფასი გაიზრდება, ეს თანხა შესაძლოა გაზის საფასურის დამატებით სუბსიდირებას მოხმარდეს.

შეგახსენებთ, რომ დღეს რუსული გაზის ტრანზიტისთვის საქართველო ყოველ 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზე მხოლოდ 6 დოლარს იღებს.

და ეს მაშინ, როცა "გაზპრომი" ყაზახური გაზის ტრანზიტისთვის საქართველოს 66 დოლარს სთხოვს. მინისტრ გილაურის განცხადებით, ეს ტარიფი საკმაოდ მაღალია და ყაზახური გაზის ტრანზიტს აზრი ეკარგება. ამის გამო საქართველომ შესაძლოა ყაზახური გაზის ტრანზიტზე საბოლოოდ უარი თქვას.

როგორც გუშინ ნიკა გილურმა ჟურნალისტებს განუცხადა, "გაზპრომთან" გასაფორმებელ ხელშეკრულებაში აუცილებლად ჩაიდება ერთობლივი ქართულ-რუსული კომპანიის შექმნის საკითხიც. **"ეს იქნება კომპანია, რომელიც "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" ქვეკონტრაქტორის ფუნქციას შეასრულებს. მას დაევალება გაზსადენების, მათ შორის, მაგისტრალური გაზსადენის მოვლა-პატრონობა, საქართველოს რეგიონების გაზიფიცირება და გაზის დისტრიბუცია. გაზიფიცირებისთვის საჭირო ინვესტიციებს ორივე მხარე თანაბრად გაიღებს და ზუგდიდის, ფოთისა და ბათუმის გაზიფიცირებას განახორციელებს,"** - დასძინა გილაურმა.

მისივე თქმით, საქართველოში გაზის ყველაზე მსხვილი მომხმარებლები, სს "თბილგაზი" და "თბილსრესის" ენერგობლოკები - "გაზპრომთან" ხელშეკრულებას ცალ-ცალკე გააფორმებენ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, "გაზპრომთან" შექმნილი ერთობლივი კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, პარიტეტულ საწყისებზე ჩამოყალიბდება. **"ერთობლივი შპს-ს მინიმალური საწესდებო კაპიტალი, სავარაუდოდ, 2000 ლარი იქნება, თუმცა კომპანია აქტივების მფლობელი არ იქნება. ის მხოლოდ გაზსადენის ოპერატორის ფუნქციებს შეითავსებს,"** - განაცხადა გილაურმა.

ჟურნალისტების კითხვაზე, ახალი საწარმოს შექმნა ხომ არ გაანაწყენებს აშშ-ს და "ათასწლეულის პროგრამის" ფარგლებში გაზსადენის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული 45-მილიონიანი პროექტის ჩაშლას ხომ არ გამოიწვევს, ენერგეტიკის მინისტრი პასუხობს, რომ გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტს ჩაშლა არ ემუქრება და რეაბილიტაციისათვის საჭირო სუბკონტრაქტორს თავად მილენიუმის ჯგუფი კონკურსის საფუძველზე გამოავლენს.

*გამოხმაურება*

# ღია კარის მტვრევა ნატო-ში

*ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის შესახებ ქართულ მასმედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციები ოპტიმისტური რომ იქნებოდა, ეჭვიც არ მეპარებოდა, მაგრამ თუ ჩემი ზოგიერთი კოლეგა ამდენად "შორს წავიდოდა", არ მეგონა.*

კობა ლიკლიკაძე

ზურაბ ნოღაიდელის "მედიაპულში" მოხვედრილმა ჟურნალისტებმა ბრიუსელში აღმოაჩინეს, რომ ნატო-ს კარი საქართველოსთვის, თურმე, ღია ყოფილა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას რუსეთი ხელს ვერ შეუშლის. ეს, მეტი რომ არ ვთქვა, აბსურდია.

ინფორმაციული აბსურდი კი შემდეგში მდგომარეობს.

ა) ნატო-ს, ანუ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის კარი საქართველოსათვის ღიაა და თანაც ძალიან ფართოდ, სულ მცირე 2004 წლის დეკემბრიდან, როდესაც ალიანსმა მოიწონა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა. გარდა ამისა, ალიანსი აღმოსავლეთით განაგრძობს გაფართოების პოლიტიკას და მისი კარი ღიაა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა ბანაკის ქვეყნებისთვისაც (მათ შორის უზბეკეთისთვისაც). ამ ინფორმაციის მოპოვება, ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია, თუკი ესტუმრება ნატო-ს ინტერნეტ საიტს. ამდენად, ნატო-ს კარის ღიაობაზე საზეიმო ყიჟინის ატეხვა, მეტი რომ არ ვთქვათ, უხერხულია.

ბ) რაც შეეხება მეორე "აღმოჩენას" - რომ "ამიერიდან რუსეთი ვეღარ შეაფერხებს საქართველოს სწრაფვას ნატო-ში", როგორც ცნობილია, რუსეთი არ არის ნატო-ს წევრი ქვეყანა. ანუ ჩვენ ჩრდილოელ მეზობელს არ აქვს ხმის უფლება ალიანსში, განსხვავებით 26 წევრი ქვეყნისაგან, რომლებსაც აქვთ ვეტოს უფლება.

ასე რომ, რუსეთი ვერც შეგვიშლიდა და ვერც შეგვიშლის ხელს ნატო-ში გაწევრიანებაში, თუკი პოლიტიკური ძალები, საზოგადოება და მათ შორის ჟურნალისტები, ერთგული იქნებიან იმ ფასეულობებისა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ საფუძვლად დაედო ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულებას. შესაბამისად, ხელისშემშლელი მიზეზები უფრო საქართველოში უნდა ვეძებოთ. თუნდაც იმ საინფორმაციო პოლიტიკის სახით, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ბოლო ხანს მიმართავს. მხედველობაში მაქვს გამუდმებული ტრაბახი ახალი ხელისუფლების მიღწევებზე - ეკონომიკურ ზრდაზე, პოლიტიკურ რეფორმებზე, კორუფციის აღმოფხვრაზე, სანიმუშო საპატრულო პოლიციაზე, სუფთა სინდისის მინისტრებზე, ბრძოლისუნარიანი არმიის ჩამოყალიბებაზე ... აღარ გავაგრძელებ ჩამოთვლას, რადგან გვსმენია და ვიცით.

მაგრამ ეს განუწყვეტელი თვითრეკლამა უკვე იმდენად აუცილებელ რიტუალად იქცა ყველა დონის მოხელისათვის, რომ, ბუნებრივია, ვერც ბრიუსელში მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი აუვლიდა მას გვერდს. თუმცა, ვინც ნატო-ს საიტზე(http://www.nato.int/home.htm) ზურაბ ნოღაიდელის ინტერვიუს მოისმენს, დარწმუნდება, თუ როგორ დაბალანსებულად საუბრობს მთავრობის მეთაური საქართველოს შანსებზე, გახდეს ნატო-ს წევრი 2009 წელს.

მაგრამ რა უნდა ქნა, ეს თარილი ხომ სწორედ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების წლად?

ამ ციფრებითა და თარიღებით თამაშიც მეტად სიმპტომატურია და ქართული პოლიტიკის ინფანტილიზმზე მეტყველებს.

აქამდე ნატო-ში გაწევრიანების სავარაუდო თარიღად ასახელებდნენ 2006 წელს, შემდეგ 2007 წელს, მოგვიანებით "კურსი" 2008 წელზე დაფიქსირდა. სულ ბოლოს კი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ ქვეყანა მისი პირველი პრეზიდენტობის ვადის დასრულების დროს - 2009 წელს გახდება ნატო-ს წევრი. თუმცა, ეს ციფრების თამაში უკვე იმდენად აშკარად აღიზიანებს საქართველოს დასავლელ პარტნიორებს, რომ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოპ სხეფერმა მკაფიოდ მიანიშნა ბრიუსელში მყოფ საქართველოს დელეგაციას და ქართველ ჟურნალისტებს, არ ეკითხათ მისთვის, თუ როდის მიიღებენ საქართველოს ნატო-ში. და მიანიშნა ძალიან მარტივი მიზეზის გამო: ნატო-ში ძალიან არაპოპულარულია, როდესაც ალიანსის წევრობაზე პრეტენზიის მქონე ქვეყანა მეტ დროს ანდომებს ნატო-ს თემაზე მარჩიელობას, ვიდრე რეალურ საქმეებს - პოლიტიკურ რეფორმას, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, თავსებადი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას, შიდა კონფლიქტების მოგვარებას, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვას, დაბოლოს, საზოგადოების სწორ ინფორმირებას.

თუ თითოეულ ამ უჯრედს რუსული "მატრიოშკასავით" გავხსნით, ვნახავთ, რომ შეუსრულებელი ვალდებულება საქართველოს გაცილებით მეტი აქვს. ზოგ შემთხვევაში კი ეს პრობლემები, განსაკუთრებით ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვის მიმართულებით, დღითიდღე იზრდება. და ყველა ეს ჩამორჩენა რომ დაძლიოს და დასახულ მიზანს 2009 წელს მიაღწიოს, საქართველომ შვიდმილიანი ნაბიჯებით, მიზანდასახულად უნდა იაროს. ამ გზაზე ყველაზე კარგი მეგობარია რეალიზმი და ჯანსაღი თვითკრიტიკის გრძნობა.

*უცხოეთი*

# ერაყში გამარჯვების ეროვნული სტრატეგია

პირველი გვერდიდან

ერაყიდან ამერიკული ჯარების გამოყვანის თაობაზე ბოლო დროს გახშირებული მოთხოვნების საპასუხოდ, აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა სტრატეგიული გეგმა, რათა ყველასთვის დაემტკიცებინა (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთოდ მსოფლიოში), რომ ერაყში წარმატების მიღწევის რეალური გეგმა აქვს.

ოთხშაბათს აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭომ გამოქვეყნა 35-გვერდიანი დოკუმენტი "ერაყში გამარჯვების ეროვნული სტრატეგია". ანგარიშში, რომლის თავფურცელშიც აღნიშნულია, რომ მასზე მუშაობა ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო, ნათქვამია, რომ აშშ-ს სტრატეგიად კვლავაც რჩება ერაყში "მუშაობა", მაგრამ სრულ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო და წინააღმდეგობები რჩება. მასში ასევე განსაზღვრულია, როგორ წარმოუდგენია აშშ-ს ერაყში გამარჯვება, რატომ არის იგი ასეთი მნიშვნელოვანი აშშ-ს ინტერესებისთვის, ან საერთოდ ვინ არის ერაყის ომში მტერი და როგორ უნდა განხორციელდეს გამარჯვების სტრატეგია.

**"არც ერთ ომში არ მიღწეულა გამარჯვება გრაფიკის მიხედვით, და არც ამ ომში იქნება ასე,** - ხაზგასმულია დოკუმენტში, **- მაგრამ გრაფიკის არარსებობა არ ნიშნავს, რომ ერაყში ჩვენი პოზიციები (როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო) უცვლელი იქნება ხანგრძლივი დროის მანძილზე."**



*"ამერიკას არასოდეს დაუხევია უკან მანქანების ამფეთქებელთა და მკვლელთა წინაშე და სანამ მე ვარ მთავარსარდალი არც არასოდეს დაიხევს".*

მაგალითად, პრეზიდენტის ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ ამერიკული ჯარის რიცხოვნობა (დღეისთვის, დაახლოებით, 160 ათასი) მომავალ წელს, "პოლიტიკური პროცესების განვითარებისა და ერაყის უსაფრთხოების ძალების მიერ გამოცდილებისა და ძალის შეძენის" პარალელურად, აუცილებლად შემცირდება. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკული სამხედრო კონტინგენტი ერაყში "ნაკლებად შესამჩნევი გახდება, იგი მაინც უმნიშვნელოვანესი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ფაქტორი იქნება, რათა ნებისმიერ ახლად წარმოქმნილ ძალას დაუპირისპირდეს".

## რას ნიშნავს ერაყში გამარჯვება?

დოკუმენტი იწყება იმის განსაზღვრებით, თუ რას გულისხმობს აშშ ერაყში გამარჯვებაში და აერთიანებს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან მიზნებს.

**"მოკლევადიან პერსპექტივაში ერაყი აღწევს მდგრად პროგრესს ტერორიზმთან ბრძოლაში, პოლიტიკური ვნებათღელვა დაწყნარდება, დაიწყება დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და უსაფრთხოების ძალების ფორმირება,"** - აღნიშნულია "სტრატეგიაში".

რაც შეეხება საშუალოვადიან პერსპექტივას: ერაყი წარმატებებს აღწევს ტერორიზმთან ბრძოლაში და თავად (სხვის დაუხმარებლად) უზრუნველყოფს საკუთარ უსაფრთხოებას. ბუნებრივია, იგულისხმება, რომ ხელისუფლება უკვე სრულიად ლეგიტიმურია, ხოლო ქვეყანა იწყებს ეკონომიკური პოტენციალის რეალიზიციას.

ხოლო გრძლევადიან პერსპექტივაში: ერაყს უკვე დამარცხებული ჰყავს ტერორისტები და მეამბოხეები; ქვეყანა მშვიდობიანი, გაერთიანებული, სტაბილური, დემოკრატიული და უსაფრთხოა; ერაყელებს ჰყავთ სამართლიანი ხელისუფლება და აქვთ საკმარისი რესურსები, რათა სრულად უზრუნველყონ საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოება; გარდა ამისა, ერაყი აქტიურადაა ჩაბმული ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ბრძოლაში; სრულადაა ინტეგრირებული საერთაშორისო თანამეგობრობაში; იგი უკვე წარმოადგენს რეგიონის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ "ლოკომოტივს" და სამაგალითოა რეგიონის დანარჩენი ქვეყნებისთვის დემოკრატიულობის თვალსაზრისით.

## კეთილშობილი მისია და ეროვნული ინტერესების რეალიზაცია

"სტრატეგიის" ავტორებს არ დავიწყებიათ იმის ახსნაც, თუ რატომ არის აშშ-სთვის ერაყში გამარჯვება ესოდენ მნიშვნელოვანი. **"ერაყელი ხალხის დახმარება მორალურად გამართლებულია - ამერიკა ვერ მიატოვებს თავის მეგობრებს გასაჭირში. თუმცა, ერაყელი ხალხის დახმარება ჩვენს ეროვნულ ინტერესებშიც შედის,"** - ხაზგასმულია დოკუმენტში.

ასე რომ, წარუმატებლობა დაუშვებელია, რადგანაც - პირველი: ერაყი გადაიქცევა ტერორისტთათვის სამოთხედ; მეორე, ახლო აღმოსავლეთის რეფორმატორები ამის შემდეგ აღარასოდეს ენდობიან აშშ-ს; დაბოლოს, ტომობრივ და რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება და მის შედეგად წარმოშობილი ქაოსი, უმნიშვნელოვანეს დარტყმას მიაყენებს აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესებს მთლიანად რეგიონში.

**"ერაყში ჩვენი მისია ომში გამარჯვებაა,** - ხაზგასმულია "სტრატეგიაში" - **ჩვენი ჯარები მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდებიან შინ, როცა ამ მისიას შევასრულებთ".**

გუშინ ანაპოლისის საზღვაო აკადემიაში გამოსვლისას ჯორჯ ბუშმა კიდევ ერთხელ აარიდა თავი ერაყიდან ჯარების გამოყვანის რაიმე კონკრეტული ვადის დასახელებას და ყველას მოთმინებისკენ მოუწოდა. პრეზიდენტის თქმით, ამერიკას არასოდეს დაუხევია უკან მანქანების ამფეთქებელთა და მკვლელთა წინაშე და სანამ იგი იქნება მთავარსარდალი, არც არასოდეს დაიხევს.

**"ზოგს შეიძლება არ ესმოდეს, რატომ ვართ ჩვენ ერაყში, მაგრამ ჩემთვის ეს სრულიად ნათელია. მე ვეხმარები იმ ხალხს, ისე იცხოვრონ, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ. არ შეუშინდნენ ტირანიასა და ბოროტ დიქტატურას. სხვები დაიხოცნენ ჩვენი თავისუფლებისთვის - ახლა კი ჩვენი ჯერია,"** - ხმამაღლა აცხადებს აშშ-ს პრეზიდენტი და ირწმუნება, რომ "ეს ღირს დროდ და მცდელობად".

International Finance Corporation
A Member of the World Bank Group

**"საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის" მიმართვა სააქციო საზოგადოებებისადმი:**

**მოგახსენებთ, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის "საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის" პირველი ეტაპის დაფინანსება იწურება ამა წლის 31 დეკემბერს, რის გამოც იგი დროებით წყვეტს თავის საქმიან ურთიერთობებს სააქციო საზოგადოებებთან, რომელიც გრძელდებოდა ბოლო ორი წლის მანძილზე.**

**პროექტი იმედოვნებს, რომ მიიღებს ახალ დაფინანსებას 2006 წლის დასაწყისში და კვლავ განაახლებს ნაყოფიერ თანამშრომლობას სააქციო საზოგადოებებთან.**

# ახალი ტესტები და სხვა სიახლეები

გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოეწყო 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნობრივი ტესტების კრებულების პრეზენტაცია.

დაიბეჭდა საგამოცდო ტესტების ნიმუშები ყველა საგანში: როგორც სავალდებულო საგნებში - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებსა და უცხო ენაში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა და რუსული ენა), ასევე - არჩევით საგამოცდო საგნებში - ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მათემატიკაში.

როგორც შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა, ტესტების ნიმუშები საქართველოს ყველა სკოლას გადაეცემა მათთვის საჭირო რაოდენობის შესაბამისად ანუ - აბიტურიენტების რაოდენობის მიხედვით. ამ ეტაპის შემდეგ კრებულები თავისუფალ გაყიდვაშიც იქნება. მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ თითოეულ კრებულში არის ნიმუში, თუ როგორ უნდა შეივსოს პასუხების ფურცელი, რომ აბიტურიენტებმა თავი დაიზღვიონ მექანიკური შეცდომებისაგან. ცენტრი, ასევე, უზრუნველყოფს აბიტურიენტებისთვის ინსტრუქციების დარიგებას - "როგორ მოვემზადოთ ეროვნული გამოცდებისთვის".

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ აღნიშნა 2006 წლის ეროვნული გამოცდების მნიშვნელოვანი უპირატესობები გასულთან შედარებით: 2006 წლის გამოცდების შედეგად 8 000-ზე მეტი სტუდენტი მიიღებს გრანტს, იქნება სახელმწიფო დაფინანსებაზე; რეგისტრაციის პროცესი მნიშვნელოვნად იქნება გამარტივებული, რაც შეამცირებს ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს; გასწორების პროცესი იქნება უფრო გამჭვირვალე, ვიდრე გასულ წელს; აბიტურიენტები მიიღებენ თავიანთი საგამოცდო ნამუშევრის ქსეროასლებს, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, თავად შეამოწმონ საკუთარი და გამსწორებლის შეცდომები.

პრეზენტაციას ესწრებოდა პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი, რომელმაც დადებით მხარესთან ერთად ისიც აღნიშნა, თუ რა არის მისთვის მიუღებელი 2006 წლის ეროვნულ გამოცდებში - კერძოდ, რეიტინგის უნარ-ჩვევების გამოცდის მიხედვით დადგენა მან გამარტივებულ მექანიზმად მიიჩნია და ამ საკითხის განხილვა საპარლამენტო შეკრებებისთვის გადადო.

*24 საათი*

Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა

1. რინოპლასტიკა
2. მკერდის კორექცია
3. მკერდის აღდგენითი ოპერაციები მასტექტომიის შემდეგ
4. მუცლის პლასტიკა
5. სახის ცირკულარული დაჭიმვა
6. ლიპოსაქცია
7. კელოიდური ნაწიბურების მოცილება
8. ფამწეროზისშემდგომი კონტრაქტურების პლასტიკა
9. შეძენილი და თანდაყოლილი დეფექტების კორექცია
10. პერიფერიული ნერვების მიკროქირურგიული აღდგენა
11. ვარიკოზული ვენების ამოკვეთა
12. ადენოიდებისა და პოლიპების ენდოსკოპიური ამოკვეთა
13. მხედველობის ქირურგიული კორექცია
14. ოპერაციები მენისკებზე

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმი
გამსახურდიას გამზ. N6
ტელ: 424-006, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

**"საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის" მიმართვა სააქციო საზოგადოებებისადმი:**

**მოგახსენებთ, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის "საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის" პირველი ეტაპის დაფინანსება იწურება ამა წლის 31 დეკემბერს, რის გამოც იგი დროებით წყვეტს თავის საქმიან ურთიერთობებს სააქციო საზოგადოებებთან, რომელიც გრძელდებოდა ბოლო ორი წლის მანძილზე.**

**პროექტი იმედოვნებს, რომ მიიღებს ახალ დაფინანსებას 2006 წლის დასაწყისში და კვლავ განაახლებს ნაყოფიერ თანამშრომლობას სააქციო საზოგადოებებთან.**

# განცხადება

## "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსები სამინისტროს შემდეგ თანამდებობებზე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში:

**გენერალური ინსპექცია (7 საშტატო ერთეული)**

1. გენერალური ინსპექციის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800 ლარი);
2. გენერალური ინსპექციის მთავარი სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
3. გენერალური ინსპექციის უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
4. გენერალური ინსპექციის სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**ადმინისტრაციული დეპარტამენტი (19 საშტატო ერთეული)**

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800 ლარი);
2. ადმინისტრაციული დეპარტამენტის კანცელარიის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
3. ადმინისტრაციული დეპარტამენტის კანცელარიის მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
4. ადმინისტრაციული დეპარტამენტის კანცელარიის უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
5. ადმინისტრაციული დეპარტამენტის სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);
6. საკადრო რესურსების მართვის სამმართველო უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი);
7. საკადრო რესურსების მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
8. საკადრო რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
9. საკადრო რესურსების მართვის სამმართველოს სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);
10. რეგიონებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი);
11. რეგიონებთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
12. რეგიონებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
13. რეგიონებთან ურთიერთობის სამმართველოს სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**სამდივნო (სამსახური) (1 საშტატო ერთეული)**

14. სამდივნო (სამსახურის) უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი);

**ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი - (17 საშტატო ერთეული)**

15. ლიცენზიებისა და ნებართვებისა დეპარტამენტის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800 ლარი);
16. ლიცენზირების სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
17. ლიცენზირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
18. ლიცენზირების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
19. ლიცენზირების სამმართველოს სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);
20. ნებართვების სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
21. ნებართვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
22. ნებართვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);

**საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახური - (4 საშტატო ერთეული)**

23. საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი);
24. საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
25. საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**მდგრადი განვითარების დეპარტამენტი - (18 საშტატო ერთეული)**

26. მდგრადი განვითარების დეპარტამენტის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800 ლარი);
27. მდგრადი განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);
28. პროექტების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
29. პროექტების კოორდინაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
30. პროექტების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
31. პროექტების კოორდინაციის სამმართველოს სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);
32. სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
33. სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
34. სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
35. სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტი - (13 საშტატო ერთეული)**

36. ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800 ლარი);
37. ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);
38. ბუღალტერიის უფროსი - მთავარი ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);
39. ბუღალტერიის მთავარი სპეციალისტი (ბუღალტერი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
40. ბუღალტერიის უფროსი სპეციალისტი (ბუღალტერი) - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
41. ბიუჯეტის დაგეგმვის, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
42. ბიუჯეტის დაგეგმვის, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
43. ბიუჯეტის დაგეგმვის, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
44. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**იურიდიული დეპარტამენტი - (14 საშტატო ერთეული)**

45. იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800 ლარი);

46. პარლამენტთან ურთიერთობის და საერთაშორისო ხელშეკრულებების ჰარმონიზაციის სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
47. პარლამენტთან ურთიერთობის და საერთაშორისო ხელშეკრულებების ჰარმონიზაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
48. პარლამენტთან ურთიერთობის და საერთაშორისო ხელშეკრულებების ჰარმონიზაციის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
49. პარლამენტთან ურთიერთობის და საერთაშორისო ხელშეკრულებების ჰარმონიზაციის სამმართველოს სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

50. სასამართლო დავებისა და იურიდიულ საკითხთა უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
51. სასამართლო დავებისა და იურიდიულ საკითხთა უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
52. სასამართლო დავებისა და იურიდიულ საკითხთა უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
53. სასამართლო დავებისა და იურიდიულ საკითხთა უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**მიწის მართვის სამსახური - (5 საშტატო ერთეული)**

54. მიწის მართვის სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი);
55. მიწის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
56. მიწის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
57. მიწის მართვის სამსახურის სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი - (18 საშტატო ერთეული)**

58. გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800 ლარი);
59. ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
60. ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
61. ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
62. ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამმართველოს სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);
63. წყლის რესურსების სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
64. წყლის რესურსების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
65. წყლის რესურსების სამმართველოს სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);
66. ნარჩენების და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
67. ნარჩენების და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
68. ნარჩენების და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
69. ნარჩენების და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამმართველოს სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური - (6 საშტატო ერთეული)**

70. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი);
71. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
72. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
73. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური - (10 საშტატო ერთეული)**

74. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი);
75. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
76. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
77. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი - (19 საშტატო ერთეული)**

78. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800 ლარი);
79. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);
79. ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატის ცვლილების სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
88. ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატის ცვლილების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
89. ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატის ცვლილების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
90. ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატის ცვლილების სამმართველოს სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);
90. ეკოლოგიური მონიტორინგის სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
91. ეკოლოგიური მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
92. ეკოლოგიური მონიტორინგის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
93. ეკოლოგიური მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);
94. საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);
95. საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
96. საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
97. საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

**გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახური - (6 საშტატო ერთეული)**

98. გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული თანამდებობრივი სარგო 750 ლარი);
99. გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
100. გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320 ლარი);
101. გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250 ლარი);

მოცემული თანამდებობრივი სარგოების ოდენობა შესაძლებელია დაზუსტდეს (გაიზარდოს) "2006 წლის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის დადგენილი ასიგნებების ფარგლებში.

**სულ 157 საშტატო ერთეული**

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომში - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას სამდივნოში კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას, 21-დან 65 წლამდე.

დამატებითი სკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზრვრება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით

კონკურსს ატარებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია ან/და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო სპეციალიზირებული კომისია (შემდგომში კომისია).

კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად, უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია ან CV;
2. განათლების ან/და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ორიგინალთან ერთად);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3/4);
5. შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში), ან სათანადო წესით დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.
6. საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული და კანდიდატის მიერ შევსებული ანკეტა (დანართი N1);
7. რეკომენდაცია (რეკომენდატორის თანამდებობისა და რეკვიზიტების მითითებით)

**საბუთების მიღება წარმოებს 1 დეკემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით შაბათ-კვირის გარდა 13:00სთ-დან 17:00სთ-მდე.**

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად, ტესტირებისა (წერითი გამოცდის) და გასაუბრების ფორმით.

ტესტირებისა (წერითი გამოცდის) და გასაუბრების განრიგი განაცხადების შეტანის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში იხილეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საინფორმაციო დაფაზე:

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში, მისამართი: ქ. თბილისი გულუას ქ. N6.

**ტელ: 46 50 10**
**საჯარო სამსახურის ბიურო**

# ევროსასამართლო მოლაშვილის ჯანმრთელობის შემსწავლელი კომისიის დასკვნებს ელოდება

*კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ადვოკატებმა ევროსასამართლოსგან წერილი მიიღეს, რომელიც მათი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევას უკავშირდება.*



დაკავებულის ერთ-ერთი ადვოკატის შალვა შავგულიძის ინფორმაციით, დაცვის მხარემ 10 ნოემბერს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია გადაუგზავნა. ამასთან დაკავშირებით წერილი გაგზავნა სახელმწიფომაც.

როგორც ცნობილია, ევროსასამართლოს მოთხოვნით, ცოტა ხნის წინ მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად საქართველოში პარიტეტული წესით დაკომპლექტებული სამედიცინო კომისია შეიქმნა, რომელშიც ადვოკატები და სახელმწიფოს მხრიდან შერჩეული რვა წევრი შევიდნენ. დაახლოებით, ერთი თვის წინ აღნიშნულმა კომისიამ მოლაშვილს თოდუას სახელობის კლინიკაში სხვადასხვა სახის გამოკვლევები ჩაუტარა. თუმცა, როგორც კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ადვოკატები აცხადებენ, აღნიშნული კომისიის დასკვნა არ ასახავს სტრასბურგის სასამართლოს მოთხოვნას, რადგან მოლაშვილისთვის "ც" ჰეპატიტზე გამოსაკვლევად სისხლის ანალიზი არ აუღიათ. ადვოკატების თქმით, განსასჯელი მეტი დამაჯერებლობისთვის მოითხოვდა მისი სისხლი ლიმბახის სახელობის გერმანული კლინიკის წარმომადგენლებს, შეემოწმებინათ, რაზეც სახელმწიფოს წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს.

**"სახელმწიფოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სისხლის გამოკვლევა მხოლოდ მათ მიერ დასახელებულ კლინიკაში მოხდებოდა და დაცვის მიერ წარმოდგენილ სპეციალისტებს მონაწილეობის მიღება მხოლოდ ამ ანალიზის შეფასებაში შეეძლებოდათ",** - განაცხადა ადვოკატმა შალვა შავგულიძემ.

ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ექიმებზე სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლა ხორციელდება, რათა **"დაკავებულის ავადმყოფობა არ დადასტურდეს და მისი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება არ მოხდეს",** - ასეთია დაცვის მხარის პოზიცია.

თუმცა, იუსტიციის სამინისტროს და გენპროკურატურას მოლაშვილის ჯანმრთელობის გამოკვლევასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო პოზიცია აქვთ და ამტკიცებენ, რომ შემოწმება ობიექტურად ჩატარდა, რაც სახელმწიფოს ინტერესებშია.

ერთი სიტყვით, ჩატარებული გამოკვლევის შედეგებზე ევროსასამართლოს ანგარიში მოლაშვილის დაცვის მხარემაც გაუგზავნა, სადაც ზუსტადაა მოთხრობილი იმ დარღვევებზე, რომელიც სახელმწიფომ პატიმრის ჯანმრთელობის გამოკვლევისას დაუშვა. დასკვნაში, ძირითადად, საუბარია მძიმე დაავადება "ც" ჰეპატიტზე, რომლითაც ინფიცირებულია სულხან მოლაშვილი.

თავის მხრივ, სტასბუგის სასამართლოს წერილი გაუგზავნა სახელმწიფომაც. თუმცა, როგორც ადვოკატები ირწმუნებიან, იგი სრულყოფილი არ არის.

**"სტრასბურგის სასამართლოდან მიღებული წერილის თანახმად, კოლეგიამ მიიღო ჩვენი დოკუმენტი და სახელმწიფოს წერილიც, რაც ჩვენც გამოგვიგზავნეს. როგორც გაირკვა, ოფიციალურმა მხარემ, მართალია, ევროსასამართლოს წერილობით მოახსენა მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ დასკვნები არ გაუგზავნია, რაც საბოლოო შეფასებისთვის აუცილებელია. სტრასბურგში სწორედ ამ დოკუმენტებს ელოდებიან, თუმცა ქართული მხარე როდის გაგზავნის მათ, ჩვენთვის უცნობია",** - განაცხადა შავგულიძემ. ადვოკატის თქმით, სწორედ აღნიშნული გამოკვლევის საბოლოო შეფასების შემდეგ იმსჯელებს სტრასბურგის სასამართლო მოლაშვილის ჯანმრთელობისა და მისი წინასწარი პატიმრობის კანონიერების შესახებ. თუმცა, დაცვის მხარე ვარაუდობს, რომ ხელისუფლება კვლავ აჭიანურებს მასალების გაგზავნას, რითაც ცდილობს მოლაშვილს სათანადო მკურნალობა არ ჩაუტარდეს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდეს.

*24 საათი*

# ოცდაერთდღიანი ტყვეობის შემდეგ მძევალი გაათავისუფლეს

*ოცდაერთდღიანი ტყვეობის შემდეგ გამტაცებლებმა 70 წლის რევაზ ჯახაია გაათავისუფლეს. როგორც ყოფილი მძევლის ოჯახის წევრები აღიარებენ, მოხუცის გათავისუფლება გამოსასყიდის გადახდის შემდეგ გახდა შესაძლებელი.*

სამშაბათს, გვიან ღამით შინ საკუთარი ფეხით დაბრუნდა 70 წლის რევაზ ჯახაია, რომელიც გალის რაიონის სოფელ საბერიოდან ოცდაერთი დღის წინათ გაიტაცეს. ყოფილი მძევლის განცხადებით, გამტაცებლებმა იგი თვალახვეული გადმოსვეს მდინარე ენგურის ერთ-ერთ ფონთან, რის შემდეგაც მან მდინარე ენგური გადალახა და ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე გადავიდა.

რევაზ ჯახაიას გატაცების მიზეზად იმთავითვე ფულის გამოძალვა სახელდებოდა. ამასთან, რადგანაც გატაცება აფხაზეთის კონფლიქტის ზონის სიახლოვეს მოხდა, დანაშაულის ჩამდენებად აფხაზი კრიმინალები მოიაზრებოდნენ. მომხდარის გამო, არაერთხელ დაისვა საკითხი ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრებზე.

ვარაუდი, რომ გამტაცებლებს ჯახაია მხოლოდ ანგარების გამო აინტერესებდათ, გამართლდა. გატაცებულის შვილი მურმან ჯახაია აცხადებს, რომ გამტაცებლები მას, მამის გათავისუფლების სანაცვლოდ, თავდაპირველად ნახევარ მილიონ დოლარს სთხოვდნენ, შემდეგ ასი ათასს, საბოლოოდ კი, მოლაპარაკებების შედეგად 10 ათას დოლარზე შეთანხმდნენ და ეს თანხა მურმან ჯახაიამ გადაიხადა. თანხის გადაცემის დეტალებზე საუბრისგან გატაცებულის შვილმა თავი შეიკავა. სამაგიეროდ, იგი ამბობს, რომ გამტაცებლები ქართველები იყვნენ; მეტიც, მურმან ჯახაიას თქმით, გამტაცებლები მეგრულ ენაზე გალური აქცენტით საუბრობდნენ. გაირკვა, რომ რევაზ ჯახაია გალისა და ოჩამჩირის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყეში მდებარე მიტოვებულ სახლში გამოკეტილი ჰყავდათ. გათავისუფლებული ჯახაიას ნაამბობის თანახმად, გამტაცებლებს იგი გალის და ოჩამჩირის რაიონების მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყეში, მიტოვებულ სახლში ჰყავდათ გამოკეტილი; მთელი 21 დღის მანძილზე თვალები ახვეული ჰქონდა და საკვებსაც მხოლოდ იმდენს აძლევდნენ, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. რევაზ ჯახაია ადასტურებს, რომ მისი გამტაცებლები მეგრულად საუბრობდნენ, თუმცა მას, ძირითადად, ახალგაზრდა ჩეჩენთან ჰქონდა ურთიერთობა. სხვათა შორის, მამის გათავისუფლების სანაცვლოდ თანხის გადახდის შესახებ მოლაპარაკების პერიოდში, რამდენიმე დღის წინათ, ქალაქ ზუგდიდის ცენტრში მურმან ჯახაიას სახლი დაუდგენელმა პირებმა თვითნაკეთი ბომბით ააფეთქეს.

რევაზ ჯახაიას გათავისუფლებიდან რამდენიმე საათში კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი დანაშაული მოხდა: გუშინ დილით ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონასა და გალის რაიონის სოფელ თაგილონის საზღვართან შეიარაღებული პირები შამგონის ავტობუსს თავს დაესხნენ. ხუთი ნიღბიანი პირი ავტობუსის მძღოლის გატაცებას შეეცადა, მაგრამ მან თავს გაქცევით უშველა.

კრიმინალებმა მძღოლს ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ ვერ შეაჩერეს. ამის შემდეგ კრიმინალები აფხაზეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ. ზუგდიდის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. როგორც სოფელ შამგონის გამგებელი მამუკა ხუბუა აცხადებს, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც აფხაზმა კრიმინალებმა გადმოლახეს მდინარე ენგური და ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე გადმოვიდნენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც პოლიცია რეიდებს ატარებს, ენგურისპირა ზოლზე მდებარე ზუგდიდის რაიონის სოფლებში მსგავსი ფაქტები აღარ აღინიშნება ხოლმე.

*24 საათი*

# დაკავებულ კრიმინალთაგან ერთი ვანო მერაბიშვილის ნათესავია

*გუშინ თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ორი პირის დაკავებას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან მკაცრი განცხადება მოჰყვა - "ეს დაკავება ბრწყინვალე მაგალითია იმისა, რომ დღეს საქართველოში ადგილი აღარ აქვს ნათესავების მფარველობას". საქმე ის გახლავთ, რომ ერთ-ერთი დაკავებული, დავით მურადაშვილი თავად ვანო მერაბიშვილის ახლო ნათესავია.*

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს გორში მცხოვრები დავით მურადაშვილი, მეტსახელად "დოლარიჩა", და წარსულში ნასამართლევი გიორგი ჯალაბაძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ორგანიზებული ჯგუფი, რომლის წევრებიც არიან ჯალაბაძე და მურადაშვილი, სისტემატურად იტაცებდა ავტომობილებს და სარეალიზაციოდ ცხინვალის რეგიონში გადაჰყავდა. ამის დასტურად გავრცელდა ოპერატიული ღონისძიების ჩატარების შედეგად მოპოვებული კადრები, სადაც, პოლიციის მტკიცებით, აღბეჭდილია დავით მურადაშვილის მიერ თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე ავტომანქანა "ნივის" მოპარვის ფაქტი. გარდა ამისა, სამართალდამცველები ირწმუნებიან, რომ დავით მურადაშვილის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია უცხოური ავტომანქანების გატაცებისათვის საჭირო დიდი ოდენობით ე.წ. "ატმიჩკები".

გუშინვე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაკავებული დავით მურადაშვილი მისი ნათესავია.

**"კანონისგან არავინ არის დაცული, მათ შორის - არც ნათესავები, მეგობრები, და არც ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები"**, - აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა სპეციალურად მოწყობილ ბრიფინგზე.

რაც შეეხება გივი ჯალაბაძეს, იგი ორი კვირის წინ, ვადაზე ადრე ე.წ. "უდოთი" გაათავისუფლეს პატიმრობიდან. ჯალაბაძე ორი წლის წინათ შიდა ქართლში ჩატარებული ანტიკონტრაბანდული სპეცოპერაციის შედეგად იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით დააკავეს. ქართველ სამართალდამცველთა ცნობით, ის ცნობილი კრიმინალის ნიკოლოზ ხმიადაშვილის, მეტსახელად "რობოტას", დაჯგუფების წევრი იყო. ოფიციალური ინფორმაციით, ეს დაჯგუფება, რომელიც 40-მდე ბოროტმოქმედისგან შედგებოდა, დანაშაულებრივ კავშირში იყო ოს კრიმინალებთან - ფაქტობრივად, აკონტროლებდა ერგნეთის ბაზრობას, ასევე, გატაცებული მანქანებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობას ეწეოდა. ამ დაჯგუფების ძალაზე ისიც მეტყველებს, რომ მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ამტკიცებდა, რომ "რობოტას" სახელმწიფო კანცელარიაში ჰყავდა მფარველები და ამიტომ ხელშეუხებლობით სარგებლობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ, მისი დაკავების გამო, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ქართულმა მოსახლეობამ გორი-ცხინვალის მაგისტრალი გადაკეტა და დაკავებული კრიმინალების გათავისუფლება მოითხოვა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ოსური კრიმინალური სამყაროს გააქტიურების საფრთხე დგებოდა. მოპიკეტეების განცხადებით, ოსი კრიმინალები მათ შეწუხებას "რობოტას" დაჯგუფების დიდი გავლენის გამო ერიდებოდნენ. თავად ნიკოლოზ ხმიადაშვილი პატიმრობიდან ჯალაბაძეზე ადრე გაათავისუფლეს. ჯალაბაძე კი ორკვირიანი თავისუფლების შემდეგ კვლავ საპყრობილეში დაბრუნდა.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

სახელი, გვარი.......................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.......................................................

საკონტაქტო ტელეფონი.......................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს [illegible] სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური [illegible];
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური [illegible];
5. მეტროს სადგური "სადგური II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური [illegible] II", (ყოფილი მეტროს სადგური [illegible]);
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 [illegible] ჩარჩენილი გაზეთ "24 საათის" ოფისთან;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისთან.

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, [illegible] შეკითხვით, [illegible] შემდეგ მისამართზე: [illegible], წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის პროექტის შეჯამება

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 18-თვიანი პროექტის შედეგები სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გამართულ კონფერენციაზე შეაჯამეს.

კონფერენცია იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ გახსნა და ჩატარებული სამუშაოს მნიშვნელობაზეც ისაუბრა. **"პროექტის შედეგად შექმნილია რეფორმის სამოქმედო დოკუმენტაცია, სასჯელაღსრულების სისტემის კომპიუტერული ქსელი, განხორციელდა რუსთავის N6 საპყრობილის რეაბილიტაცია, ჩატარდა ტრენინგები"**, - განაცხადა გივი მიქანაძემ.

უცხოელი ექსპერტებისა და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, იუსტიციის სამინისტრომ "სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის" პროექტის განხორციელება 2004 წელს დაიწყო. ევროკავშირის წარმომადგენლის ჯულია ჯაკობის ინფორმაციით, პროექტის საერთო ღირებულება 3 მილიონ ევროს შეადგენდა, აქედან 1.2 მილიონი ევრო რუსთავის საპყრობილის რეკონსტუქციას მოხმარდა.

კონფერენციაზე განაცხადეს, რომ რეფორმის ფარგლებში უკვე შექმნილია სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრი, სადაც მომზადებას გაივლიან პენიტენციური და პრობაციის სისტემის თანამშრომლები.

სასჯელაღსრულების სისტემის კომპიუტერიზაციის პროექტში სასჯელაღსრულების 7 დაწესებულება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და იუსტიციის სამინისტროა ჩართული.

პროექტში მონაწილე პოლონელი ექსპერტის მირეკ ნოვაკის რეკომენდაციით, რეფორმის მიმდინარეობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს პატიმართა კლასიფიკაციაზე, საპატიმრო რეჟიმების თანამედროვე მოდელის ჩამოყალიბებასა და უსაფრთხოების განახლებული სისტემის დანერგვაზე.

კონფერენციაზე პროექტის ფარგლებში შექმნილი საინფორმაციო ბროშურების პრეზენტაციაც მოხდა. ბროშურაში დაბეჭდილია მეთოდური მითითებები პენიტენციურ პრობლემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალისა და სასჯელმოხდილი პირებისათვის.

*24 საათი*

## მოკლედ

### ნარკორეალიზაციაში ეჭვმიტანილ დემურ მექვაბიშვილს სამუდამო პატიმრობა ემუქრება

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ბათუმში მცხოვრები დემურ მექვაბიშვილი, რომლისგანაც ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობის - 700 გრამი, ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი. **"ეს არის რეკორდული მაჩვენებელი. ქართულ პოლიციას ამ რაოდენობით "ჰეროინი" აქამდე არასდროს ამოუღია"**, - განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე. მისივე თქმით, დემურ მექვაბიშვილს სამუდამო პატიმრობა ემუქრება. აღსანიშნავია, რომ დემურ მექვაბიშვილი ასლან აბაშიძის რეჟიმის პერიოდში მუშაობდა ბათუმის ჩოგბურთის კორტების დირექტორად და არაერთხელ იყო შემჩნეული კონტრაბანდულ საქმიანობაში. გუშინდელ ბრიფინგზე ვანო მერაბიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ სასამართლოები კანონის მიხედვით იმოქმედებენ და ნარკორეალიზაციაში ეჭვმიტანილთა მიმართ ლოიალობას არ გამოიჩენენ. **24 საათი**

### პრეზიდენტმა 17 პატიმარი შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პატიმრების შეწყალების აქტს ხელი მოაწერა. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განუცხადეს, შეწყალების კომისიამ ამ ეტაპზე სულ 40 მსჯავრდებულის საქმე განიხილა. პრეზიდენტმა 17 პატიმარი შეიწყალა, რომელთაგან ექვსს სასჯელი გაუნახევრდა. შეწყალებულთაგან ერთი არასრულწლოვანია. პატიმრები სასჯელაღსრულების დაწესებულებებს მაშინვე დატოვებენ, როცა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი შესაბამის ფორმალურ საკითხებს მოაგვარებს. კანონის თანახმად, შეწყალების სახელმწიფო კომისია მსჯავრდებულთა საქმეებს ყოველთვიურად განიხილავს. პატიმართა საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, თუ დაკავებულებს სასჯელის ნახევარი უკვე მოხდილი აქვთ. მსუბუქი დანაშაულის შემთხვევაში, კომისია სხვადასხვა საშეღავათო გარემოებას ითვალისწინებს და, სასჯელის განახევრების შემთხვევაში, პირი, შესაძლოა, პატიმრობიდან გათავისუფლდეს. 2005 წლის ბოლომდე პრეზიდენტი, სავარაუდოდ, შეწყალების კიდევ ერთ აქტს მოაწერს ხელს. **ინტერპრესნიუსი**


სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**ისნის რაიონში ახალი ციფრული სადგურის ამოქმედებასთან დაკავშირებით** სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" **28 ნოემბრიდან ერთი თვის განმავლობაში შეასრულებს სამონტაჟო სამუშაოებს. რის გამოც, "74" ინდექსის მომხმარებლებს, ასევე პრეზიდენტის რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიიდან ჩოლოყაშვილის ქუჩამდე მოსახლე სხვა ქსელის აბონენტებს, დროებით გაეთიშებათ ტელეფონის ნომრები.**

შესაბამისად, იგეგმება "74" ინდექსის აბონენტების სატელეფონო ნომრების შეცვლა. ნუმერაციის ცვლილებები შეეხება ასევე წულუკიძის ქუჩასა და მომიჯნავე ქუჩებზე მცხოვრებ "73" ინდექსის აბონენტებს და კახეთის გზატკეცილის მე-7 და მე-10 კორპუსების "71" ინდექსის მომხმარებლებს.

**კომპანიის ადმინისტრაცია ისნის რაიონის აბონენტებს ბოდიშს უხდის შეფერხებისთვის და იმედს იტოვებს, რომ აღნიშნული რაიონის მოსახლეობა გაგებით მოეკიდება მიმდინარე პროცესებს, რომელიც მიმართულია სატელეფონო მომსახურების გაუმჯობესებისაკენ.**



OSCE

**ეუთოს მისია საქართველოში აცხადებს ტენდერს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე გორში, თელავში, ჭიათურასა და თბილისში**

ტენდერი ითვალისწინებს სამშენებლო, წყალმომარაგების, საკანალიზაციო, სავენტილაციო, გათბობა/კონდიცირებისა და ელექტო სისტემების სარემონტო სამუშაოების განხორციელებას აღნიშნულ რეგიონებში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების (ISO სტანდარტები, DIN ნორმები) შესაბამისად.

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გააჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზიები და დოკუმენტაცია.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოითხოვონ სატენდერო მასალები შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

1. განაცხადი მონაწილეობის შესახებ (დაინტერესების წერილი).

2. კომპანიის მოკლე აღწერილობა.

3. აღნიშნულ განცხადებაში მითითებულ სფეროებში შესრულებული სამუშაოების მოკლე აღწერილობა. 4. აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო სახელმწიფო ლიცენზიის ასლი.

წინამდებარე ინფორმაცია ინგლისურ ენაზე უნდა გაიგზავნოს მისამართზე, Adolf.Turek@osce.org

გთხოვთ, მიუთითოთ რეგიონი და სამუშაოს სფერო გრაფაში: თემა (subject)!

**ინფორმაციის მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 12 დეკემბერი, 13.00.**

მოკლედ

### კასილასმა "რეალთან" კონტრაქტი გააგრძელა



იკერ კასილასმა და მადრიდის "რეალმა" შეთანხმებას მიაღწიეს და მხარეებმა ახალი კონტრაქტი გააფორმეს. კლუბსა და ფეხბურთელს შორის შეთანხმებას 2006 წლის 30 ივნისს გასდიოდა ვადა. ახალი ხელშეკრულებით კასილასი კიდევ ხუთ წელიწადს დაიცავს "სამეფო კლუბის" ღირსებას. "ძალიან ბედნიერი ვარ. ამ მომენტს დიდხანს ველოდი. სიტყვები არ მყოფნის, რომ ჩემი სიხარული გადმოგცეთ. დიდად მადლიერი ვარ კლუბის და მინდა გამარჯვებებით და ახალი ტიტულების მოპოვებით გავამართლო მისი ნდობა", - კონტრაქტის გაფორმების შემდეგ განაცხადა იკერ კასილასმა.

### "ჩელსი" ბალაკით დაინტერესდა

მიუნხენის "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ დაადასტურა, რომ ლონდონის "ჩელსი" ინტერესს ამჟღავნებს მიუნხენური კლუბის ლიდერის მიხაელ ბალაკისადმი.

"ბალაკის მომავალი იანვარში გადაწყდება. ის ან მადრიდის "რეალში" გადავა, ან ლონდონის "ჩელსიში", - განაცხადა რუმენიგემ, - დარწმუნებული ვარ, რომ "ბაიერნიდან" წავა, რადგან მას სურს ითამაშოს უფრო ძლიერ ჩემპიონატში, ვიდრე გერმანიის ბუნდესლიგაა. მადრიდის ვარიანტი ლონდონისას ჩამორჩება. "ჩელსის" უფრო დიდი შანსი აქვს შეიძინოს ბალაკი, რადგან ეს კლუბი უფრო პროგრესირებადია. ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი იანვარში გადაწყდება".

### "ვალენსია" კვლავ ნიჰათის გადაბირებას ცდილობს

ესპანეთის "ვალენსიამ" კვლავ გამოხატა სურვილი შეიძინოს ესპანური "რეალ სოსიედადისა" და თურქეთის ნაკრების ფეხბურთელი ნიჰათი. ტრანსფერი შეიძლება იანვარში განხორციელდეს, როცა ზამთრის სეზონის გაიხსნება. თურქი ფეხბურთელის მოქმედი კონტრაქტი ბასკურ კლუბთან 2006 წლის ზაფხულში იწურება. ნიჰათი კი არ აპირებს ახალი კონტრაქტის გაფორმებას. ასე რომ, "რეალ სოსიედადმა" უნდა გადაწყვიტოს გაყიდის ზამთარში ფეხბურთელს თუ საშუალებას მისცემს ზაფხულში უფასოდ გადავიდეს სხვა კლუბში.

### ლამპარდი აპირებს პრემიერლიგაში ზედიზედ 200 მატჩი გამართოს

ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი, რომელმაც ამას წინათ ინგლისის პრემიერლიგაში ზედიზედ 160-ე მატჩი ჩაატარა, აპირებს ეს რიცხვი 200-მდე გაზარდოს. 27 წლის ფეხბურთელს, რომელმაც "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში ამას წინათ მეორე ადგილი დაიკავა, სავსებით შეუძლია დაამყაროს "მუდმივი რეკორდი". "მე მსურს 200 მატჩი ვითამაშო, - ლამპარდის სიტყვები მოჰყავს სააგენტო AFP-ს, - არ მიყვარს დასვენება და არ მინდა ეს გავაკეთო. მინდა კვირიდან კვირამდე ვითამაშო ისევე, როგორც ამას ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში ვაკეთებდი. ვაპირებ ვითამაშო მანამ, სანამ ფეხები დამემორჩილება".

### ვიერი იანვარში "ოლიმპიკში" გადავა

მარსელის "ოლიმპიკმა" "მილანის" ფორვარდ კრისტიან ვიერისთან მოლაპარაკებები დაიწყო. ფრანგული პრესის ინფორმაციით, იტალიელი მარსელში შეიძლება უკვე იანვარში აღმოჩნდეს. ვიერის აგენტი "ოლიმპიკის" პრეზიდენტს მომავალ კვირაში შეხვდება. ამჟამად იტალიელი ფეხბურთელი ვერ ხვდება "მილანის" ძირითად შემადგენლობაში და ბუნებრივია, რომ ის ტრანსფერით დაინტერესებულია.

### შევჩენკო: "ოქროს ბურთი" მალდინის ეკუთვნოდა"

"მილანის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო აცხადებს, რომ გუნდი დღემდე ისჯება შარშან ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხების გამო. უკრაინელი ფორვარდის თქმით, რონალდინიომ "ოქროს ბურთი" დამსახურებულად მიიღო, თუმცა, "მილანს" რომ ჩემპიონთა ლიგა მოეგო, ამ ჯილდოს პაოლო მალდინი მიიღებდა, რომელიც არასდროს ყოფილა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი.

ფეხბურთი

# ტომაზის რეინკარნაცია

"რომას" ლეგენდარულმა ფორვარდმა დამიანო ტომაზიმ კარგად წარმოაჩინა თავი "ფიორენტინასთან" მატჩში, როცა მეტოქის კარში სწრაფი გოლი გაიტანა (1:1). ფეხბურთელისთვის, რომელმაც მუხლის სერიოზული ტრავმის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა, ეს მოვლენა კიდევ უფრო გასახარია.

14 წლის პროფესიული კარიერის განმავლობაში ტომაზიმ "ვერონასა" და "რომას" შემადგენლობაში 240 მატჩი ჩაატარა. მით უმეტეს, ასეთი ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ კვირის მატჩი ტომაზისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. "არ მეგონა, თუ პირველი წუთებიდანვე ვითამაშებდი, - განაცხადა დამიანო ტომაზიმ, - ძალიან გავიხარე, როცა ლუჩანო სპალეტიმ ამის შესახებ მაცნობა. წლევანდელ სეზონში მინდორზე მხოლოდ რამდენიმე წუთი გავატარე, მაგრამ "იებთან" მატჩი, შეიძლება ითქვას, სერია A-ში ჩემი მეორე დებიუტი იყო. ძალიან მიხარია, რომ გოლი გავიტანე. ამჯერად ტრიბუნებზე ჩემი მეუღლე იყო, რომელსაც მივუძღვენი კიდეც გატანილი გოლი. სარეაბილიტაციო პერიოდში ის სულით და გულით ჩემს გვერდით იდგა".



შარშანდელ სეზონში ყველაფერი იმისკენ მიექანებოდა, რომ ტომაზის "რომას" მაისური უნდა გაეხადა და კლუბი დაეტოვებინა. მან მძიმე ტრავმა მიიღო მარჯვენა მუხლზე. ამან კი ვეტერანი ფეხბურთელის სამომავლო კარიერა ეჭვქვეშ დააყენა. "მე ექიმი ვარ და იშვიათად ვიყენებ სიტყვას "სასწაული", თუმცა, დამიანო ტომაზის ხასიათი და ფეხბურთის თამაშის სურვილი ამ ეპითეტს იმსახურებს", - განაცხადა ტომაზის ქირურგმა პიერპაოლო მარიანიმ.

იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის "რომასთან" კონტრაქტის ვადა იწურებოდა. კლუბი კი სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდიდა. ბუნებრივია, "რომას" ხელმძღვანელები ვერ მიიღებდნენ კონტრაქტის გახანგრძლივების გადაწყვეტილებას, ვიდრე არ დარწმუნდებოდნენ, რომ ტომაზი სრულ მზადყოფნაშია. ამ სიტუაციიდან ფეხბურთელმა იპოვა გამოსავალი, რომელმაც ორივე მხარე დააკმაყოფილა. მან კლუბს ხელფასის სახით სიმბოლური თანხა - 1500 ევრო მოსთხოვა თვეში. ამდენად, ის თვეში დაახლოებით იმდენს გამოიმუშავებდა, რამდენსაც გუნდის სხვა ფეხბურთელები დღეში.

"მე ეს "რომას" და ფეხბურთის სიყვარულით გავაკეთე", - განმარტა თავისი გადაწყვეტილება პატარა სოფელ ნეგრარის მკვიდრმა, რომელიც ქალაქ ვერონას შორიახლოს მდებარეობს. ტომაზი ადრეც გამოირჩეოდა ქველმოქმედებისკენ ლტოლვით, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მართლაც უპრეცედენტო იყო. "მე საკუთარ თავთან ნაძლევი დავდე, - განაცხადა ფეხბურთელმა, - მხოლოდ დრო გვიჩვენებს, მოვიგე თუ არა ეს ნაძლევი".

კვირას გატანილი გოლი ადასტურებს, რომ ფორვარდმა მაინც გაიმარჯვა. ტომაზიმ თავისი მძიმე სამუშაოს შესრულებისთვის სათანადო გასამრჯელო მიიღო. წინა თვეში ის "ასკოლისთან" შეხვედრის განაცხადში იყო შეყვანილი. ფეხბურთელი მინდორზე მეორე ტაიმის შუაში გამოვიდა და იტალიურმა პრესამ დადებითი შეფასება მისცა მის თამაშს 25 წუთის განმავლობაში. ამან ძალიან გაახარა ფეხბურთელი და მისი თაყვანისმცემლები, რომლებიც შიშობდნენ, რომ მას საქმეში ვერასოდეს იხილავდნენ. ტომაზიმ კარგად გამოიჩინა თავი "მესინასა" და "იუვენტუსის" წინააღმდეგ, რითაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმსახურა.

წვერიანი ფეხბურთელის დაბრუნებამ, რომელმაც 2001 წელს "სკუდეტო" მოიგო, გააძლიერა "რომა", რომელიც ამჟამად იტალიის ჩემპიონატსა და უეფას თასისთვის იბრძვის. ეჭვი არ არის, რომ "რომას" ტიფოზები მადლობას გადაუხდიან ფეხბურთელს შეუპოვრობისა და დიდი ჟინის გამოვლენისთვის. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ტომაზის მარტო "რომას" გულშემატკივრები არ დაუჭერენ მხარს.

ჩოგბურთი

# მარტინა ჰინგისი ბრუნდება

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა პროფესიულ ჩოგბურთში დაბრუნება გადაწყვიტა. ჰინგისი 16 წლის ასაკში გახდა მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი. მან "დიდი სლემის" 5 ტურნირი მოიგო ერთეულთა თანრიგში და 9 წყვილებში. 2003 წელს ჰინგისმა პროფესიული კარიერის დამთავრების შესახებ განაცხადა. ამის მიზეზი ფეხების სერიოზული ტრავმა გახდა. 25 წლის შვეიცარიელმა წელს ტაილანდის ტურნირზე ერთი მატჩი ითამაშა. ის გერმანელ მარლენ ვაინგარტნერთან შეხვედრაში დამარცხდა.

"მე არასოდეს ვყოფილვარ აღფრთოვანებული იმის გამო, რომ ტრავმების გამო პროფესიულ ჩოგბურთს დავემშვიდობე, - ნათქვამია ჰინგისის განცხადებაში, - მაგრამ კორტს მიღმა დროს შესანიშნავად ვატარებდი. თუმცა, ჩოგბურთის გარეშე მოვიწყინე და მინდა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებთან თამაშში მოვსინჯო ძალები".



*ჰინგისი იანვრიდან ათამაშდება.*

შეგახსენებთ, რომ ჰინგისის დებიუტი პროფესიულ ჩოგბურთში 1994 წლის 4 ოქტომბერს შედგა, ოთხი დღის შემდეგ, რაც ჩოგბურთელს 14 წელი შეუსრულდა. შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა მთელი კარიერის განმავლობაში 18,3 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, რაც მესამე მაჩვენებელია ჩოგბურთის ისტორიაში შტეფი გრაფისა და მარტინა ნავრატილოვას შემდეგ. ჰინგისი 2006 წლის იანვარში დაბრუნდება.

ინფოთეკა

### "ფიორენტინა" კინს იწვევს

იტალიის "ფიორენტინა" როი კინისთვის ბრძოლაში ჩაერთო. ამ კლუბმა, სხვების მსგავსად, ირლანდიელთან მოლაპარაკებები დაიწყო. ამ კვირაში კინი ფლორენციას ეწვევა. მას ხელფასის სახით კვირაში 50 ათას გირვანქა სტერლინგს სთავაზობენ. ამ წინადადებას კი კინი უნდა დაეთანხმოს.

### ვენგერმა "რეალი" უარით გაისტუმრა

ლონდონის "არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ მადრიდის "რეალი" მისი პერსონით დაინტერესდა, არ აპირებს ლონდონის დატოვებას. "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, რომ თავისი გუნდის სათავეში სწორედ ფრანგი სპეციალისტის ხილვა სურს და არა ფაბიო კაპელოსი ან ჟოზე მოურინიოსი, რომელთა გვარებიც "რეალის" სავარაუდო მწვრთნელთა ნუსხაში ფიგურირებს. ვენგერმა კი განაცხადა, რომ 2008 წლამდე "არსენალს" არ დატოვებს. მისი კონტრაქტი "მეთოფეებთან" სწორედ 2008 წელს იწურება.

ცვლილებების შეტანა 30 ნოემბრის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობისა და სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობის პლასტიკური ბარათების დამზადებაზე და შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის მოწოდებაზე გამოცხადებულ ღია ტენდერის განცხადებაში.

1. ამოღებულ იქნეს მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა;
2. მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები "და მე-4"

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის ფიზიკურმა და იურიდიულმა ფირმებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ საკუთარი ქვეყნის შესაბამისი ორგანოებიდან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი გამოთქვამს მზადყოფნას ყოველნაირად დაეხმაროს საქართველოს იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ სურვილი მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ ტენდერში, დაეხმარონ ტენდრის განცხადების "3.1 გ" და "3.2 ბ" პუნქტებით გათვალისიწნებული საკვალიფიკაციო დოკუმენტის აღებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2005 წლის 28 ოქტომბერს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ჩატარდა ღია ტენდერი კვების პროდუქტების შესაძენად.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები ქვემოთ ჩამოთვლილ ფირმებთან:

1. შპს "შარმ ტრეიდინგი"

2. ი/ს "ლავრენტი ზარიძე"

3. ი/მ "გ. დოროყაშვილი"

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სატენდერო კომისია.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს უცხოური წარმოების მეორადი ა/მანქანების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოცულობა: - 9 (ცხრა) ცალი უცხოური წარმოების მეორადი ა/მანქანა.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 პოზიციად (ლოტად):

1 ლოტი - 1 (ერთი) ცალი მეორადი ა/მანქანა, აღჭურვილი უნდა იყოს 2..2 სიმძლავრის მქონე ძრავით და სრული ელ. პაკეტით, გამოშვების წელი - არაუგვიანეს 1996 წლის;

2 ლოტი - **8** (ცალი) მეორადი ა/მანქანა, აღჭურვილი უნდა იყოს 1.8-2.0 სიმძლავრის ძრავით, კონდიციონერით, გამოშვების წელი - არა უგვიანეს 1994 წლის.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 14 დეკემბრის 12 საათიდან 15 დეკემბრის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4**. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელ(ები)ი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ

იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

**5**. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 16 დეკემბრის 12 საათიდან 16 დეკემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**7.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ტარიელ ხიზანეიშვილი, საკონტაქტო ტელეფონი 92-07-80, გიორგი ბერიძე - საკონტაქტო ტელეფონო 92-01-82 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# თბილისის ახალი მოედნები

## სააკაძის მოედანს 23 წლის არქიტექტორის პროექტის მიხედვით ჩაუტარდება რეკონსტრუქცია

ია ვეკუა

პირველ რიგში, განცხადება თბილისში არსებული ძეგლების გულშემატკივართა გასაგონად: გიორგი სააკაძის ძეგლს გადაადგილების საფრთხე არ ემუქრება, პირიქით, ამჟამინდელი ძეგლის ირგვლივ გაზონის, როგორც სატრანსპორტო კვანძის ცენტრალური ნაწილის ამოჭრით ძეგლი უფრო მეტად აქცენტირებული გახდება. შეუნარჩუნდება რა კვარცხლბეკის ზედა ნიშნული, ის დაიწყება მოედნის ქვედა ნაწილის შადრევნებში. სააკაძის მოედნის ეს მნიშვენლოვანი მხარე გამარჯვებულ პროექტში, ფაქტობრივად, რევერანსირებულია. საუკეთესო პროექტის ავტორი კი 23 წლის არქიტექტორი გიორგი ხმალაძეა.

იმედია, ქალაქის ხელისუფლება ყველაფერს იღონებს თვით მისი და არქიტექტორთა კავშირის ინიციატივით ჩატარებულ კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული პროექტის რეალიზებისთვის, რომლის შედეგად ქალაქი მიიღებს სრულიად ახალ, დროის შესატყვის არქიტექტურულ სივრცით ანსამბლს.

საბოლოოდ სააკაძის მოედნის დაგეგმარების, რეკონსტრუქციის აუცილებლობა გამოიწვია საინვესტიციო კომპანია "მერიდიენ რიელთის" მიერ შრომის სასახლის მიმდებარედ მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ბიზნეს-ცენტრის მომავალმა მშენებლობამ.

კონკურსი სააკაძის მოედნის რეკონსტრუქციის თაობაზე სექტემბერში გამოცხადდა. კონკურსანტებს რამდენიმე მარტივი ამოცანის გადაჭრა ევალებოდათ: მოედნის სარეკონსტრუქციო ტერიტორიის მოცულობით-სივრცითი პოტენციალის დადგენა, მოედნის მაფორმირებელი მოცულობის ოპტიმალური პარამეტრებისა და ტერიტორიის ფუნქციური გააზრება, აგრეთვე სატრანსპორტო სქემის ოპტიმალური გადაწყვეტა და ავტოსადგომის ადგილის შერჩევა-დაგეგმარება.







ვინც ნაკლებად ერკვევა მსგავს არქიტექტურულ ტერმინებში, მარტივი სიტყვებით ავუხნით, რისთვისაც გიორგი ხმალაძის პროექტით ვიხელმძღვანელებთ: შენობა, ფუნქციით ბიზნეს-ცენტრი, რომელიც შრომის სასახლის გვერდით აშენდება, უახლესი ტექნოლოგიების, თანამედროვე მასალებისა და დიზაინის კონგლომერატი იქნება, რომელიც ორგანულად გააგრძელებს და თანამედროვე ენით დაასრულებს შრომის სასახლის იმ ეპოქისთვის დამახასიათებელ არქიტექტონიკას. შენობა 27-სართულიანი იქნება. მისი პირველი ორი სართული სავაჭრო დაწესებულებებს დაეთმობა, ხოლო ზედა სართულები ოფისებისთვის იქნება განკუთვნილი. რაც შეეხება მოედანს, მის მიწისქვეშა სივრცეს მთლიანად აითვისებს მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტები: სავაჭრო, გასართობი თუ შემეცნებითი ფუნქციებით და დეკორატიული სკვერებით, პარკინგებით და წყლის დეკორატიული შადრევნებით, რომელთა ეპიცენტრიც იქნება მოედნის შუაში აღმართული სააკაძის ძეგლი.

როგორც საინვესტიციო კომპანია "მერიდიენ რიელთის" დირექტორმა გია გურულმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, კონკურსზე წარმოდგენილი პროექტებიდან გიორგი ხმალაძის ნამუშევარი საუკეთესო სივრცითი გადაწყვეტითა და ორიგინალური ხედვით გამოირჩეოდა. კონკურსზე, რომელიც ანონიმურად ჩატარდა, პირველი პრემიის გარდა, გაიცა მეორე და მესამე პრემიებიც. გადაწყვეტილებას კი იღებდა ჟიური, რომლის შემადგენლობაში გია გურულის გარდა შედიოდნენ არქიტექტორები მერაბ ბოლქვაძე, გოჩა მიქიაშვილი, თემურ ჯაფარიძე და ოთარ ნახუცრიშვილი.

გია გურულის თქმით, სააკაძის მოედნის სრული რეკონსტრუქცია ორ წელიწადში დასრულდება. ამისთვის მისი კომპანია ფინანსურად სრულ მზადყოფნაშია. მთავარია, თბილისის მთავრობამ დროულად და კონსტრუქციულად ითანამშრომლოს "მერიდიენ რიელთი" ჯგუფთან, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ბიუროკრატიული საკითხების მოგვარებას, რათა გამარჯვებული საპროექტო წინადადების შემდგომ დამუშავებას (რომელსაც საკმაო დრო სჭირდება) ხელი არ შეეშალოს და ყოველივე არ დარჩეს სამყაროსა შიგან...

როგორც ამბობენ, "მერიდიენ რიელთი" მხოლოდ ამ ბიუროკრატიული საკითხების მოუგვარებლობის გამო აყოვნებს მუშაობის დაწყებას.

მოედნის რეკონსტრუქცია ეტაპობრივად მოხდება, რათა მშენებლობის პერიოდში ავტომოძრაობა არ შეფერხდეს. გარდა ამისა, "მერიდიენ რიელთი" კონკურსს გამოაცხადებს სამშენებლო ფირმებს შორისაც, რათა ხარისხის სრული გარანტია მიიღონ.

რაც შეეხება კონკურსში გამარჯვებულ 23 წლის გიორგი ხმალაძეს, იგი პროფესიით არქიტექტორია. მონაწილეობდა (და იმარჯვებდა კიდეც) რამდენიმე სტუდენტურ და საერთაშორისო კონკურსში. აღსანიშნავია, რომ იგი კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო.

# დამოკლეს მახვილი

ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, სირაკუსის ტირანმა დიონისე I უფროსმა (ძვ.წ. V ს. მიწურული - IV ს.) თავის ფავორიტს დამოკლეს, რომელიც მას მოკვდავთა შორის უბედნიერეს ადამიანად თვლიდა, ერთი დღით ტახტი დაუთმო. შუა ნადიმის დროს, დამოკლემ, უეცრად, მის თავს ზემოთ ძუაზე გამობმული გაშიშვლებული მახვილი შენიშნა და მიხვდა ამქვეყნიური ბედნიერების ამაოებას.

დღეს საქართველოს, მისი ყველაზე რეპროდუქციული ნაწილის, ახალგაზრების თავზე დამოკლეს მახვილად, ნარკოტიკული საშუალებები და მისი "დახმარებით" შეძენილი უმძიმესი ინფექციური დაავადებები (შიდსი, ჰეპატიტი და სხვა) კიდია. დარწმუნებულნი ვართ, მრავალი წამალდამოკიდებული ხვდება ნარკოტიკული საშუალებებით გამოწვეული "არაამქვეყნიური ბედნიერების" ამაოებას და მწარედაც ნანობს, თავის დროზე სისუსტე რომ გამოიჩინა და ცდუნებას აჰყვა, მაგრამ თუ დამოკლეს ადვილად შეეძლო ამდგარიყო და მახვილს გასცლოდა, ნარკომომხმარებლისთვის, განსაკუთრებით კი, თუ იგი "ნემსზეა შემჯდარი", წამალზე უარის თქმა თითქმის შეუძლებელი ხდება. არა, პიროვნების ნებისყოფა აქ თითქმის არაფერ შუაშია - საქმე უმძიმეს დაავადებასთან გვაქვს, რომელთანაც გამკლავება ხანგრძლივ და სწორად შერჩეულ მკურნალობას გულისხმობს.

ნარკოტიკული საშუალებები ახალი ხილი არ გახლავთ და არც საქართველოა მისი სამშობლო. კაცობრიობისათვის იგი ათასობით წლის წინადაც იყო ცნობილი და ჩვენი წინაპრები არანაკლებ აქტიურად მოიხმარდნენ მას, ოღონდ მხოლოდ სამედიცინო მიზნით. 1872 წელს ფრანგმა არქეოლოგმა ჟორჟ ებერმა, ეგვიპტეში მიმდინარე გათხრებისას აღმოაჩინა პაპირუსი, რომელშიც მოხსენებული იყო ოპიუმი და კანაფი. მეცნიერმა განსაზღვრა პაპირუსის ასაკი - დაახლოებით 1555 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე. უფრო მეტიც, მასში მოცემული იყო ინფორმაცია, რომ ეგვიპტელებისათვის, ეს ნარკოტიკული საშუალებები ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე 3300 - 2600 წლებში იყო ცნობილი. ავესტაში, წმინდა ზოროასტრულ წიგნთა კრებულში, მოთხრობილია ლეგენდა მავან მკურნალზე - სახელად ტრიტი, რომელსაც ღმერთმა 10 000 სამკურნალო ბალახი უწყალობა ადამიანების სამკურნალოდ. ჩამონათვალში კანაფიც ფიგურირებდა. ჰომეროსის "ოდისეაში" (დაახლოებით 800 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მოხსენებულია ოპიუმისა და კანაფის ნაყენი, როგორც დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება.

როგორც ირკვევა, ნარკოტიკული საშუალებების თერაპიულ თვისებებს ყურადღება პირველებმა, ფარმაცევტებმა და ექიმებმა მიაქციეს. ერთნი, ხსენებული ნარკოტიკული საშუალებებიდან წამლებს ამზადებდნენ, მეორენი კი ავადმყოფებს კურნავდნენ.

ოპიუმის საფუძველზე შექმნილი პირველი წამალი ევროპაში მე-16 საუკუნეში გამოჩნდა, ხოლო მე-19 საუკუნეში მისი შეძენა (სრულიად თავისუფლად) ნებისმიერ აფთიაქსა და ექიმთან (იყო ასეთი ტრადიციაც) შეიძლებოდა. მაგალითად, ლაუდანუმი - დამამშვიდებელი და ძილისმომგვრელი საშუალება (ნარკოტიკული საშუალება) იმდენად პოპულარული იყო, რომ მას არა მარტო ზრდასრული ადამიანები იყენებდნენ, არამედ პატარა ბავშვებსაც აძლევდნენ ძილის წინ, ღამით რომ არ ეტირათ!?

ნარკოტიკული პრეპარატების პოპულარობამ საზოგადოებაში, ხელი შეუწყო იმას, რომ ფარმაცევტებმა დაიწყეს აქტიური მუშაობა ახალი ნარკოტიკული საშუალებების შესაქმნელად და მისი გამოყენების სრულყოფის მიზნით. 1806 წელს ნაპოლეონ ბონაპარტეს არმიის ქიმიკოსმა, სეგენმა ოპიუმიდან მორფინი გამოყო, ხოლო მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნის 50-იან წლებში მიაგნეს ინექციის - წამლის კანქვეშ შპრიცით შეყვანის მეთოდს, იგი უმალვე გამოიყენეს მორფინის ადამიანის ორგანიზმში შესაყვანად. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომისა (1861 წ.) და ფრანკო-პრუსიის ომის (1870 წ.) დროს, მორფის ინექციებს უკვე ფართოდ იყენებდნენ დაჭრილებისთვის ტკივილების შესამსუბუქებლად. სამწუხაროდ (ან იქნებ საბედნიეროდ) ექიმები მალე მიხვდნენ, რომ დაჭრილები, რომლებსაც მორფის ინექციები გაუკეთეს, ველარ ძლებდნენ მის გარეშე. ამ მოვლენას "ჯარისკაცების დაავადება", მიაქციეთ ყურადღება, დაავადება და არა დანაშაული უწოდეს. "დაავადებულთა" რიცხვი სწრაფად იზრდებოდა, რამაც ექიმები ძალზე შეაშფოთა.

ექიმებს ისევ ფარმაკოლოგები დაეხმარნენ. 1898 წელს, მათ მორფინისგან დიაცეტილმორფინი მიიღეს, რომელსაც ჰეროინი უწოდეს, ანუ ენერგია (გერმანულად). ცნობილი გერმანული ფარმაცევტული კომპანია BAYER-ი, რომელმაც მისი გამოშვება დაიწყო, თავის სარეკლამო ბუკლეტში ახასიათებდა ჰეროინს, როგორც უებარ საშუალებას ტუბერკულიოზის, ბრონქიტის, პნევმონიისა და მორფინიზმის სამკურნალოდ. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ჰეროინი 5-ჯერ უფრო ნარკოგენულია, ვიდრე მორფინი და ადამიანს გაცილებით უფრო დამოკიდებულს ხდის მასზე.

ამავე პერიოდში იწყება ნარკოტიკული საშუალებების, უკვე არასამედიცინო მიზნებით გამოყენება, ასე ვთქვათ, "ხელოვნურ სამოთხეში" მოსახვედრად. ამით, განსაკუთრებით, შემოქმედებითი ბოჰემა ერთობოდა. პარიზული კლუბის „ჰაშიშისტების" წევრები იყვნენ: დიუმა, დელაკრუა, მერიმე, ბოდლერი და სხვა ცნობილი ადამიანები. ისინი ერთად იღებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს, ძირითადად მარიხუანასა და ჰაშიშს, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ნარკოტიკული თრობის პროცესი ეხმარებოდა მათ შემოქმედების ახალი მწვერვალების დაპყრობაში.

გაგიკვირდებათ, ალბათ, მაგრამ კოკაინს, რომელიც 1857 წელს გამოყვეს მცენარე კოკას ფოთლებიდან, კვების მრეწველობაშიც იყენებდნენ, მაგალითად ცნობილი კორსიკელი ქიმიკოსის, ანჟელო მარიანის „ათლეტების ღვინოში", რომლის თაყვანისმცემლებიც იყვნენ: ზოლია, იბსენი, ჰიუგო, ფრანსი, ინგლისის დედოფალი ვიქტორია, რომის პაპი ლიონ XIII და სხვები. უფრო მეტიც, ჩვენთვის ცნობილ და ბევრისთვის საყვარელ კოკა-კოლას შემადგენლობაში (1885 - 1903 წლებში), 18 წლის განმავლობაში, სანამ მიხვდებოდნენ, რომ საქმე ნარკოტიკულ საშუალებებთან აქვთ, კოკაინიც შედიოდა!?

ასე ნელ-ნელა, ნარკოტიკული საშუალებები კაცობრიობისთვის სერიოზულ სოციალურ პრობლემად იქცა და უკვე XIX საუკუნიდან დაიწყო, ამ ეტაპამდე უპერსპექტივო (როგორც ახლა ვხვდებით) ბრძოლა მის წინააღმდეგ. ამ ხნის განმავლობაში, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მიიღეს ნარკოტიკული საშუალებების ამკრძალავი უამრავი კანონი, მაგრამ აკრძალვებმა საქმეს არ უშველა. პირიქით, ამან არალეგალური ნარკობიზნესის ფანტასტიურ განვითარებას შეუწყო ხელი. დღეს ყველაზე სარფიანი, ყველაზე ბინძური და ყველაზე მასობრივი - სწორედ ნარკობიზნესია. მისმა ბრუნვამ „შავ ბაზარზე" 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბა (თვალსაჩინოებისთვის გეტყვით, ეს საქართველოს 250 - 300 წლის ბიუჯეტის ტოლია!) . იგი დიდი ხანია ტრანს ნაციონალურ უბედურებად იქცა და დამოკლეს მახვილივით დასტრიალებს კაცობრიობას. თუ ვინმეს კიდევ ეპარება ეჭვი ამაში, გვინდა დაგარწმუნოთ, რომ არ ვაზვიადებთ, იქნებ პირიქითაც, სრულად ვერც კი გადმოვცემთ იმ საშიშროებას, რასაც ნარკოტიკული საშუალებები გვიქადიან.

სწორედ ნარკოტიკულ საშუალებებს უკავშირდება დანაშაულის, მათ შორის დაკვეთილი მკვლელობების, კორუფციის, ძალადობის, უკურნებელი ან ძნელადგანკურნებადი ავადმყოფობების, ადამიანების ტანჯვის, ფიზიკური, ზნეობრივი, სულიერი დეგრადირების მზარდი ტემპებით ზრდა.

ალკოჰოლიზმისგან განსხვავებით, ნარკომანია ნაკლებად იწვევს მომხმარებლებში სწრაფვას ანტისოციალური ქმედებებისკენ. მრავალწლიანი დაკვირვებებით დადასტურებულია, რომ მასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემების უმრავლესობა განპირობებულია ნარკოტიკების აკრძალვითა და მათი ბრუნვის კრიმინალიზაციით. ყოველგვარი აკრძალვა და რეპრესია არათუ ამცირებს წამალზე მოთხოვნას, არამედ უსაშველოდ ზრდის მას, რაც, შესაბამისად, ფასების ასევე უსაშველო ზრდას იწვევს. სწორედ მაღალი ფასები უბიძგებს ნარკოდამოკიდებულ ადამიანს უპირატესობა ინტრავენურ ინექციას მიანიჭოს, როგორც უფრო „ეფექტურ" და ეკონომიურ საშუალებას. სამწუხაროდ, უკიდურესობამდე მისული, „ნემსზე შემჯდარი" ადამიანი აღარ რეაგირებს იმაზე, თუ როგორ სწრაფად ანგრევს წამალი მის ორგანიზმს, ჯანმრთელობას და ფსიქიკას და, ამავე დროს, უმძიმესი, ხშირად უკურნებელი ინფექციური დაავადებების, ამ ინფექციებით საზოგადოების დასნეულების საფუძველი ხდება.

გარდა ამისა, ნარკოტიკულ საშუალებებზე ფასების ასეთი ზრდა იწვევს ქურდობისა და ყაჩაღობის ფაქტების საგრძნობლად მატებას, რეპრესიები კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლების სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოხვედრას, მაგრამ ყველაზე სავალალო მაინც ის არის, რომ რეპრესიების თავიდან ასაცილებლად წამალდამოკიდებული ადამიანები იძულებული ხდებიან, ასე ვთქვათ, „იატაკქვეშეთში" გადაინაცვლონ, ეს კი, საზოგადოების გარკვეულ წრეებში, მათი საქციელის „რომანტიზებას" იწვევს, ისინი ქუჩის ლიდერები და „გმირები" ხდებიან. ახალგაზრდების, უფრო კი მოზარდების არცთუ მცირე ნაწილი ცდილობს მიბაძოს მათ და იწყებს ნარკოტიკული საშუალებების „დაჭაშნიკებას" (წებოს ყნოსვიდან ინტრავენური ინექციების გამოყენებამდე). რეპრესიები არ აშინებს მოზარდებს, პირიქით, ზრდის მათში წინააღმდეგობის გრძნობას, უბიძგებს ნარკომანიისკენ და დანაშაულებრივი ქმედებებისკენ, რაც გარკვეულ წრეებში, მათ ავტორიტეტს, სინამდვილეში ყალბ ავტორიტეტს ზრდის და ქუჩის „გმირებად" რაცხავს.

როგორც ხედავთ, რეპრესიულმა მეთოდმა, პრობლემის გადაწყვეტის სამართალდამცავებისთვის დაკისრებამ ვერ უზრუნველყო მისი მოგვარება. გამოსავალი კი . . .

ყველა გენიალური იდეა მარტივი და ადვილად გასაგებია - თუ ნარკომანიასთან ბრძოლა არა სამართალდამცავ, არამედ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს გადაეცემა, ეს გარკვეულწილად შეუწყობდა ხელს პრობლემის მოგვარებას, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეამცირებდა მისგან გამოწვეულ ზიანს, დაიცავდა საზოგადოებას საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელებისგან.

თუ ნარკოტიკებზე დამოკიდებულებს ოფიციალურად ვაღიარებთ ავადმყოფებად, შესაძლებლობას მივცემთ სასურველი ან, უფრო სწორად, მისი მკურნალობისთვის საჭირო ნარკოტიკული საშუალებების აფთიაქში, ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტით, ლეგალურად, მისაღებ ფასებში შეძენის შესაძლებლობას, მოზარდების თვალში ისინი უცილობლად დაკარგავენ „დევნილისა" და „რომანტიული გმირის", ასე ვთქვათ „დათა თუთაშხიას" იმიჯს და ჩვეულებრივ ავადმყოფად აღიქმებიან, რაც უფრო სიბრალულს გამოიწვევს, ვიდრე აღფრთოვანებას. ამით მოზარდებს მოვუკლავთ მიმბაძველობის ანუ ნარკომანებისა და ნარკოტიკული საშუალებების გაიდეალიზების ყოველგვარ სურვილს.

სხვათა შორის, დაუჯერებელია, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება, მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, სწორედ ასეთ პოლიტიკას ახორციელებდა - ნარკომანებს ავადმყოფებად აღიარებდა და ნარკოტიკული საშუალებების აფთიაქებში, რეცეპტებით შეძენის საშუალებას აძლევდა. შედეგად, იმ დროს, მორფინიზმისა და კოკაინიზმის ფართოდ გავრცელების პირობებში, წამალდამოკიდებულთა რიცხვის კლების მზარდი ტენდენცია დაისახა. მაგრამ ასეთი მიდგომა დიდხანს არ გაგრძელებულა. საბჭოთა სისტემის იდეოლოგიიდან გამომდინარე, ხელისუფლება ვერ შეეგუა სოციალისტურ იმპერიაში „კაპიტალიზმის გადმონაშთის", ნარკომანიის არსებობას და, როგორც ჩანს, 20-იანი წლებისთვის საბჭოეთში ჯერ კიდევ შემორჩენილი, რევოლუციამდელი ინტელექტუალების მიერ დანერგილი ჰუმანური მიდგომა შეცვალა არსებული რეპრესიული სისტემის რეპრესიული მეთოდებით.

სამწუხაროდ, ვითარება ჩვენთანაც უკიდურესად მძიმეა. ათწლეულების განმავლობაში ნარკომანიასთან ბრძოლის რეპრესიულმა გამოცდილებამ ჩამოაყალიბა მძლავრი პოლიციური სტრუქტურები, რომლებიც, ცნობილი მერკანტილური მიზეზების გამო, დაინტერესებული არ არიან ნარკომომხმარებელთა რიცხვის შემცირებით (ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ახლო წარსულში). ამასთან, ჩამოყალიბდა ძალიან ძლიერი ნარკობაზარიც, რომელიც, ცხადია, არ მოისურვებს შეელიოს თავის ზეშემოსავლებს და, რაც მთავარია, „არანარკომომხმარებელი" საზოგადოება დამნაშავედ აღიქვამს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელს და, შესაბამისად, მისი რეაქცია რეპრესიული მიდგომის, უფრო ჰუმანური - ზიანის შემცირების მეთოდით ჩანაცვლებაზე, ვფიქრობთ, აგრესიული იქნება, როგორც „ლეგალიზებული ნარკომანების", ასევე მათი მკურნალი ექიმების მიმართ. ჩვენი მოსაზრებების უსაფუძვლობის ილუზიის გასაფანტად მოგახსენებთ, რომ ხსენებულ ზეწოლას უკვე კაგა ხანია განიცდიან ევროპული ორგანიზაციების ის თანამშრომლები, რომლებიც ცდილობენ უკრაინაში დანერგონ "Harm Reduction"-ის პროგრამა, რომელიც ნარკომანიის წინააღმდეგ ლიბერალური მეთოდებით ბრძოლას ითვალისწინებს.

ვშიშობთ, რომ საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ მძლავრი ანტინარკოტიკული კამპანია გააჩაღა და ეტყობა სერიოზულად დაიწყო ზრუნვა ნარკოდამოკიდებულების რიცხოვნობის, ნარკომანიის გავრცელების შემცირებაზე, საზოგადოება მაინც დაძაბული სიფრთხილით დააკვირდება ნარკომანიასთან არაძალადობრივი, არარეპრესიული მეთოდებით ბრძოლის პროცესს და მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნდება მის ეფექტურობაში, როდესაც საზოგადოებაში, ნარკოდამოკიდებულთა ოჯახებში ისევე ისაუბრებენ ნარკომანიით შეპყრობილ ახლობლებზე, როგორც, ვთქვათ ინფარქტიან, ინსულტიან ან სხვა დაავადებებით შეპყრობილ ადამიანებზე, როდესაც ავადმყოფიცა და მისი პატრონიც, ისევე, როგორც მთელი საზოგადოება, ეცდება შეებრძოლოს ამ მძიმე სენს, შეიძლება ითქვას, რომ მან ჭეშმარიტებას მიაგნო, საღად დაიწყო აზროვნება, აღარ აწუხებს ყალბი სირცხვილის გრძნობა, სირაქლემასავით თავს ქვიშაში არ რგავს და მიზანი მიღწევადი იქნება

**კავშირი "ალტერნატივა ჯორჯია"**
**ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**
**მის: თბილისი, მიცკევიჩის 29ა, VI სართული**
**ტელეფონი: 377 550**
**ელ-ფოსტა: altgeorgia@dsl.ge**
**ვებ-გვერდი: www.altgeorgia.ge**

# მივიწყებული ორიგინალური იდეა



სამსონ ლეჟავა

1985 წელს, დიდგორის მემორიალის კონკურსზე, ყურადღება მიიპყრო და მესამე პრემიითაც დაჯილდოვდა მოქანდაკე მარინა ივანიშვილისა და არქიტექტორ თემურ ჯორჯაძის ორიგინალური პროექტი. მათი კონცეფციით, დიდგორში უნდა აღმართულიყო დაახლოებით 35 მეტრი სიმაღლისა და 50 მეტრი სიგანის ქანდაკება საბრძოლო სამწვერა დროშის ფორმით, რომელზეც გამოსახული იქნებოდა ქვიური ცხენოსანი ფიგურა ლაკონიური, ასოციაციურად ტევადი დინამიკური სილუეტის სახით. იგი ე.წ. "კონტრაჟურის" ეფექტის წყალობით გასხივოსნებულად უნდა წარმოჩენილიყო, რითაც მიიღწეოდა მძაფრი ხატოვანება. ამ გზით ის, რაც მეტწილად ქანდაკების აღქმისთვის ნეგატიურია, ამ შემთხვევაში პოზიტიურ მახასიათებლად გარდაიქმნებოდა.

საყრდენებზე აღმართვით შემსუბუქებული, მოძრავი მონახაზის მქონე დროშის მასისა და გამჭოლი, ძლევის იდეის მატარებელი ფიგურის სიხალვათის კონტრასტი ჩამოაყალიბებდა შთამბეჭდავ "სურათს". ერთ-ერთი წამყვანი ამოცანა იყო მაქსიმალურად მეტყველი და ლაკონიური ფორმის შექმნა. ასეთი "მინიმალიზმი" ჩვენი კულტურის მაღალი გამოხატულებებისთვის უდავოდ სფეციფიკურია, დღევანდელობისთვის კი ხშირად უჩვეულოდ არის ქცეული. კიდევ ერთი მიზანი, რაც ამოძრავებდა ავტორთა ტანდემს, გახლდათ დიდი სივრცის არსებითი ორგანიზება - ერთგვარად "მოქნეული" ფორმის მქონე დროშის სახით. ეს ფორმა თავისი თავმოყრილობით ჩამოაყალიბებდა ძლიერ მხატვრულ მახვილს (ძალზე რთულ ლანდშაფტთან მიმართებაში). ნაწარმოები არათავსმოხვეულად, ორგანულად უნდა ჩაწერილიყო გარემოში - ცხადია, არა როგორც უცხო სხეული, არამედ როგორც სისხლხორცეული ნაწილი - იმავდროულად აქტიური მომწესრიგებელი, სემანტიკურად დატვირთული და დასამახსოვრებელი...

საზოგადოდ, ქანდაკების რელიეფთან მორგება მეტად სერიოზული და მრავალწახნაგოვანი პრობლემაა, რაც დიდ სიფაქიზესთან ერთად თითქმის მათემატიკურ სიზუსტეს ითხოვს.

აღსანიშნავია, რომ მარინა ივანიშვილმა და თემურ ჯორჯაძემ სხეულებრივი საწყისი ამ ქანდაკებაში გარკვეულწილად დათმეს, მაგრამ შემოგვთავაზეს სივრცის მოწესრიგების დამაჯერებელი ვერსია.

ბოლოდროინდელი კატაკლიზმების შემდგომ, ფსევდოინფორმაციული "ხმაურის" პირობებში, ბევრი ღირებულება გადაფასდა და ბევრიც ამოტივტივდა. ამ ურთულეს პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახვითი ხელოვნების სამეტყველო ენის შინაგანად დამუხტული სისადავე, რაც მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი საგულისხმო საზომი ჩანს მრავალი კულტურისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც (სადაც ზემოთ აღნიშნული "მინიმალიზმი" ერთ-ერთი ძირეული მახასიათებელიც კი იყო). ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მოეთხოვება მონუმენტს, რომელმაც ჩვენი დროის პოსტსაბჭოთა სივრცეში ბევრგან ჯიუტად შეინარჩუნა იდეოლოგიური ტრაფარეტის სახე. ეს სხვა არაფერია, თუ არა დროს აცდენილობა, ცუდი არქაიკა. მეტიც: ფაქტია, რომ იდეოლოგიზებული მონუმენტები კარგა ხანია შორეული წარსულის კუთვნილებაა, თუმცა, მათთან გამოთხოვება, ჩვენი ახლანდელი მენტალიტეტისთვის სამწუხაროდ, ჯერაც პრობლემურია...

ამ კონტექსტში ზემოაღნიშნული პროექტის გახსენება აქტუალურია. მან ჩვენს სინამდვილეში გაუსწრო დროს და წარმოაჩინა კლიშეებისგან გათავისუფლების სარწმუნო და რეალური მაგალითი.

CSL

სიახლე!
კავკასიისუნივერსიტეტში
(ყოფილი კავკასიის ბიზნესის სკოლა - CSB)

2006 წლის იანვრიდან პირველად ფუნქციონირებას იწყებს ახალი სამაგისტრო პროგრამა - "საჯარო და ინფორმაციული სამართალი LL.M". საგანმანათლებლო სერვისი განკუთვნილია იურიდიული, საერთაშორისო, ჟურნალისტიკის, ინფორმატიკისა და საბანკო საქმის ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტებისათვის. საბუთების მიღება იწყება 17 ნოემბრიდან.

ინფორმაციის მისაღებად მოგვმართოთ:
ქ. თბილისი, 0175
კოსტავას ქ. 77 სტუ.VI კორპ. IV სართული.
ტელ: 941 691 364 680. მობ: 899 530 751
ფაქსი: 313 226
ელ.ფოსტა:info@csl.ge
ვებ.გვერდი:www.csl.ge
საკონტაქტო პირი:გიორგი ფირცხალაიშვილი

ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207



მამა რევაზ, დედა ეთერი, და ნინო, ძმა როლანდი, მეუღლე ლედი, შვილები ნათია, თამარ და თათია ქარჩხაძეები, შვილიშვილი ლიზი ქირია, სიძე ოთარ ქირია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რომან (ჯუმბერ) ქარჩხაძე**

**პანაშვიდი: 2, 3 დეკემბერს 16.00 საათზე**
**დაკრძალვა: 4 დეკემბერს 14.00 საათზე**
**მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას II კვარტალი, 34-ე კორპუსი, IV სადარბაზო**

# "მაქმანის" ერთადერთი სახე

## გიორგი ამირეჯიბი პოდიუმზე გამოდის

სოფო კილასონია

უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც ე.წ. ბომონდის გარკვეული და, როგორც ამბობენ, მნიშვნელოვანი ნაწილი "მაქმანს" იცნობს და "მაქმანში" იცვამს. მომხიბვლელი სახელწოდების სახელოსნო მათთვის ექსკლუზიურ და გამორჩეული სილუეტის ტანისამოსს ქმნის, თუმცა, მხოლოდ და მხოლოდ ერთ მოდელიერს გიორგი ამირეჯიბს წარმოადგენს. გიორგი და ჯანა ამირეჯიბების მიერ დაფუძნებული "მაქმანი" აქამდე მხოლოდ გამორჩეული და არაშაბლონური ჩაცმულობის მოყვარულთათვის იყო ცნობილი. თუმცა, მას შემდეგ, რაც გიორგიმ საკუთარი მოდელების ღია ჩვენება მოაწყო, მასზე მედიაც ალაპარაკდა და ზოგადად ამ ხელოვნების მოყვარულებიც.

"არტ-კაფე ირმა" და იქ მოწყობილი პოდიუმი გახლდათ ამ რამდენიმე დღის წინ ის ადგილი, სადაც გიორგი ამირეჯიბის ხელოვნება "ამოძრავებული" იხილა საზოგადოებამ. მისი სამოსი, რეტროს სტილში გადაწყვეტილი სილუეტები "ნატალის" მოდელებმა მოირგეს და საკმაოდ კარგადაც.

**ჯანა ამირეჯიბი**: "გიორგი განსაკუთრებულად ნიჭიერი, ძალიან თავისებური და თვითმყოფადი ადამიანია. მუდმივად ახლის ძიებაშია, მაგრამ რომ გითხრათ, სულ ამ საქმითაა დაკავებული-მეთქი, მოგატყუებთ. მას ყველაფერი ბუნებრივად და ადვილად გამოსდის. კადნიერებაში თუ არ ჩამომართმევთ, შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ის ხშირად უსწრებს ევროპულ ტენდენციებს. ეს ჩვენი პირველი ჩვენებაა, მაგრამ სამომავლოდ საინტერესო გეგმები გვაქვს."

სანამ პირველი ჩვენება გაიმართებოდა, იყო კონკურსები, წარმატებები. დაიხვეწა სურვილები, იდეები, მანერა და, ბუნებრივია, ხაზები. "საპრემიერო წარმოდგენისთვის" დიზაინერმა ყველაფერი საკმაოდ კონკრეტული, ჩამოყალიბებული და მკაფიო წარმოგვიდგინა. არ ააჭრელა, არ შეურია, არც ბევრი იფრინა. ფერიც, ფორმაც და ეპოქაც ზუსტი მოგვცა და ამბიციების ზედმეტად აფიშირებას, დახვეწილი და გემოვნებიანი ნამუშევრები გვიჩვენა.

- "ავიღე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი და ყველაფერი ამ სტილში გადავწყვიტე", - მითხრა გიორგი ამირეჯიბმა, რომელსაც ჩვენების დაწყებამდე ჩემთვის ნამდვილად არ ეცალა. ამიტომაც დანარჩენის გარკვევა თავად დავიწყე. ფერთა გამა თბილი და მშვიდი აილო. კონკრეტულად ყავისფერ და ნაცრისფერ ტონებში გააფერადა და აქა-იქ სხვა ფერის მკაფიო აქცენტებიც მიმოაბნია. ვარცხნილობა ჩახვეულ-ჩაწნული; ფეხსაცმელი - ძალიან მიმზიდველი, პრაქტიკული, "ამბიციური", "პრეტენზიული"; გამოყვანილი პიჯაკები, მუხლამდე ქვედაკაბები და პატარა ქუდები - მგონია, სრულად ჩამოვთვალე ის ყველაფერი, რაც ჩემმა მხედველობითმა მეხსიერებამ დაილექა და რამაც ძალიან მომხიბლა. და არა მარტო მე.



რჩეული ეპოქა მოდელიერმა პირველივე წამიდან ლანგარზე დადებული მოგვართვა. სანამ პირველი ქალბატონი აქეთ-იქით სიარულს შეუდგებოდა, საბჭოთა კავშირის ჯერ კიდევ ყველასთვის კარგად ნაცნობი ჰიმნი მთელი ძალით აჟღერდა და ის ტემპებიც ისროლა, მთელი მსვლელობის დროს რომ არ დაუკარგავთ. იყო კიდევ ლილი მარლენი, ედიტ პიაფი, კიდევ საბჭოური სიმღერები, მოკლედ, იყო პატარა რეტრო ისტორია, ზოგიერთისთვის შესაძლოა - ნოსტალგიაც.

ყველაფერი ტრადიციულად იმით დასრულდა, როცა ერთი გამორჩეული მოდელი დიზაინერს ხელს ჩაკიდებს ხოლმე, პოდიუმზე გაასეირნებს და ბოლოს მაგრად ჩაეხუტება. გიორგი ამირეჯიბი იმ დღეს ორმაგ პოდიუმზე გამოვიდა: არტ-კაფეს დარბაზში და ჩვენი პატარა, მაგრამ გადაპრანჭული ელიტური საზოგადოების მოდის სამყაროში.

# ეკა და დსთ

**ეკა კვესიტაძე:** მას შემდეგ, რაც საქართველოს დელეგაცია ვერ გაემგზავრა პეტერბურგში, დსთ-ში საქართველოს დარჩენის მიზანშეწონილობის საკითხი პირველად დააყენა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. დღეს "დიალოგების" სტუმრები არიან დეპუტატი დავით ბარბაქაძე და პოლიტოლოგი დავით დარჩიაშვილი. დღეს ოპოზიცია ამბობს, რომ უმრავლესობა აღარ გამოდის მსგავსი ინიციატივით და ამ საკითხზე აღარც საუბრობს. რატომ? და საერთოდ, იწყებს თუ არა მთავრობა პარლამენტთან ერთად ამ საკითხზე მუშაობას, თუ დსთ-დან ჩვენი გამოსვლა გადადებულია?

**დავით ბარბაქაძე**: დიახ, ეს საკითხი აშკარად დადგა მაშინ, როდესაც საუბარი იყო დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეაზე ჩვენი დელეგაციის მივლინებაზე, როცა რუსეთის მხარემ ჩვენი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს არ მისცა ვიზა. დამეთანხმებით, მსგავსი სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ მიიღება ასეთი უსიამოვნო ინციდენტების საფუძველზე. მსგავსმა ინციდენტებმა შეიძლება პროვოცირება მოახდინოს ან დააჩქაროს სხვადასხვა პროცესები. ამ შემთხვევაში მოხდა ამ ინციდენტის საჯარო პროვოცირება. ამ საკითხზე საუბარი, რა თქმა უნდა, ისევ მიმდინარეობს. ის, რომ დსთ არ წარმოადგენს იმ ღირებულებათა სისტემას, რომელშიც საქართველო უნდა დარჩეს, ის, რომ დსთ არ არის ის სივრცე, რომელშიც საქართველო ხედავს საკუთარ მომავალს, ამაზე მმართველ პარტიაში ორი აზრი არ არსებობს. საუბარია ტაქტიკურ მიზანშეწონილობაზე, იმაზე, თუ როგორ გავწელოთ ეს პროცესი დროში, რათა მივიღოთ მინიმალური ზიანი ამ გადაწყვეტილების მიღებით და პირიქით, მივიღოთ ეს გადაწყვეტილება მაშინ, როცა ის მოგვიტანს დადებით შედეგს და არა უარყოფითს.

**ეკა კვესიტაძე**: რა რისკფაქტორს და სარგებლობას ვიღებთ ამ ორგანიზაციაში ყოფნით და რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას მისმა დატოვებამ? როგორი შეიძლება იყოს გონივრული გადაწყვეტილება?

**დავით დარჩიაშვილი**: მგონია, რომ პროცესი ამ საკითხში საკმაოდ ლოგიკურად მიდის. ხელისუფლებისთვის, ბუნებრივია, მთავარი ამოცანებია, ერთი მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური (განსაკუთრებით ზამთარში), მეორე მხრივ, პოლიტიკური ამოცანები (თუნდაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა). ბუნებრივია, ოპოზიცია ამ საკითხს მძაფრად აყენებს. მას მეტი საშუალება აქვს ამაზე ხმამაღლა ილაპარაკოს და, პრინციპში, ეს აწყობს კიდეც ხელისუფლებას სამომავლოდ საკითხის დასაჩქარებლად.

**დავით ბარბაქაძე:** დღეს დსთ-ში მოქმედებს ე.წ. შეღავათიანი ფასები. ჩვენი ბიზნესმენები, რომლებსაც აქვთ ვაჭრობა ამ გაერთიანების ქვეყნებში, საკმაოდ მძაფრად იგრძნობენ ამ ორგანიზაციიდან საქართველოს გასვლის შედეგებს. ჩვენ უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რომ ამ გადაწყვეტილებით მინიმალური ზიანი მივაყენოთ ბიზნესს. ამისთვის კარგი იქნება ორმხრივი შეთანხმების გაფორმება იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც დღეს დსთ-ს მასშტაბით გვაქვს ერთიანი შეღავათიანი რეჟიმი. მართალია, დსთ არ ანიჭებს ეკონომიკურ შეღავათებს, მაგრამ იგი გვანიჭებს დაბეგვრის სფეროში გარკვეულ შეღავათებს, თუმცა, დსთ-ს ქვეყნების ნაწილთან ასევე მოქმედებს ორმხრივი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც შეიძლება ამ სისტემის ჩანაცვლება. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების პროცესი. ცნობილია, რომ აფხაზეთში მყოფი სამშვიდობო კონტინგენტი, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად რუსულია, მაინც მოქმედებს დსთ-ს მანდატით. დსთ-დან გამოსვლის მანდატის მიღება, რა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესებზე. ხელისუფლების ვალია მაქსიმალურად გათვალოს, რა შედეგს მოიტანს ეს რადიკალური სვლა აფხაზეთში. ჩვენი მოვალეობაა მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მაქსიმალურად დაგვეხმარება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში. ჩვენთვის აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება განუზომლად უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე დსთ-დან დღეს ან ხვალ გამოსვლა.

**ეკა კვესიტაძე**: საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი ამბობს, რომ დსთ-დან ჩვენი გამოსვლა ამ ეტაპზე გაართულებს სამშვიდობოების გასვლას აფხაზეთიდან. ოპოზიცია კი ფიქრობს, რომ დსთ-ს დატოვება რადიკალურად და ავტომატურად დააყენებს სამშვიდობოების საკითხს. საკითხის როგორი დასმა არის უფრო ზუსტი?

**დავით დარჩიაშვილი:** ამ შემთხვევაში მე ისევ კრემლიდან წამოსული ემოციური დამოკიდებულება მიმაჩნია მთავარ საფრთხედ. მათთვის დსთ-დან ჩვენი გასვლა აღიქმება როგორც კიდევ ერთი სილა სახეში. როგორ მოიქცევიან ისინი და რა სცენარები უნდა დავწეროთ ჩვენ წინასწარ, ანუ როგორი სტრატეგია შევინარჩუნოთ იმაზე, რასაც ისინი სავარაუდოდ გააკეთებენ - ჯერ ეს არის მოსაფიქრებელი და შემდეგ დსთ-დან გამოსვლა. საბოლოოდ რომ იქ დარჩენა შეუძლებელია, ეს ნათელია და ამაზე არავინ დავობს. თანაც, ეს საკითხები ძალიან არ უნდა გაიწელოს დროში, ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს. "ჯერ ჯარის გაყვანა თუ ჯერ დსთ-დან გასვლა" - ასეთი მსჯელობა არ არის სწორი. მთავარია ზუსტად გავთვალოთ, რა შეიძლება მოხდეს ორივე შემთხვევაში, როგორი იქნება რეაქცია და რას მოვიმოქმედებთ ჩვენ.

**ეკა კვესიტაძე:** თუ სამშვიდობოების ჯარის გასვლა დადგა დღის წესრიგში, მათ ალბათ სხვა ქვეყნების ჯარი უნდა ჩაენაცვლოს აფხაზეთში. თუ მიმდინარეობს წინასწარი მოლაპარაკებები გაეროსთან ან სხვა ორგანიზაციებთან.

**დავით ბარბაქაძე:** ჩვენ არ გვინდა აფხაზეთში სამშვიდობოების საკითხისა და პროცესების პირდაპირი შეწყვეტა, რასაც ვარაუდობს ოპოზიცია და მიაჩნიათ, რომ ეს დადებითი მოვლენა იქნება. ჩვენ გვინდა იქ ოპერაციის შეწყვეტა ისეთი ფორმით, რომელიც მოემსახურება კონფლიქტის მოგვარებას და არა პირიქით, სიტუაციის ესკალაციას. ჩვენთვის ამოსავალია არა ის, იქ ოპერაცია მიდის თუ არა, არამედ კონფლიქტის მოგვარება. ყველა ნაბიჯი უნდა იყოს მორგებული ამ მთავარ და ამოსავალ საკითხთან.

# "როლინგსტოუნზი" ისევ ტურნეში მიდის

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ბრიტანული როკ-ჯგუფი "როლინგსტოუნზი" სცენაზეა. ამ პერიოდის განმავლობაში მათი მუსიკა არასდროს გამხდარა მეორეხარისხოვანი და არც აქტუალობა დაუკარგავს. დღეს ჯგუფი კვლავ ახალი ტურნესთვის ემზადება. ტურნე 2006 წლის მაისში დაიწყება და 20-ზე მეტ ევროპულ ქვეყანას მოიცავს. მათ შორისაა ჰოლანდია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, შვეიცარია, ნორვეგია და სხვ. მანამდე ჯგუფი ბრიტანეთში გამართავს კონცერტებს. მიკ ჯაგერი აცხადებს, რომ ჯგუფის წევრებს არ დაუკარგავთ ცოცხალი შესრულების მადა, პირიქით, დიდი ენთუზიაზმით არიან განწყობილნი ამ ტურნეს მიმართ. "ჩვენ ეს ჯერ არ მოგვბეზრებია, ასე რომ იყოს, მერწმუნეთ, ნამდვილად არ დავუკრავდით," - აცხადებს ჯაგერი, რომელსაც ზაფხულში 62 წელი შეუსრულდა.

# ჯულია რობერტსი პირველობას ინარჩუნებს

ჟურნალმა Hollywood Reporter-მა გამოაქვეყნა ყველაზე მაღალანაზღაურებად ქალ მსახიობთა სია ჰოლივუდში. სიის სათავეში კვლავ ოსკაროსანი ჯულია რობერტსია. მას ერთ ფილმში 20 მილიონ აშშ დოლარს უხდიან. მიუხედავად იმისა, რომ ჯულია ამჟამად ოჯახით უფროა დაკავებული, ვიდრე კინოთი, ის პოზიციებს მაინც არ თმობს. შეგახსენებთ, რომ 38 წლის მსახიობს გასულ წელს შეეძინა ტყუპები. მისი მეუღლე არის ოპერატორი დენი მოდერი.

ჟურნალის მიერ გამოქვეყნებული სიის ათეულში ასევე შევიდნენ: ნიკოლ კიდმანი, რენე ზელვეგერი, დრიუ ბერიმორი, ანჯელინა ჯოლი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ჯულია რობერტსი პირველი მსახიობი ქალია, რომელიც ანაზღაურებით გაუტოლდა ტომ კრუზს. ჯულიამ ეს 2001 წელს მოახერხა, როდესაც მან ოსკარი აიღო "ერინ ბროკოვიჩში" განსახიერებული როლისთვის. მას შემდეგ ის მყარად ინარჩუნებს პირველობას.

მარიონეტების თეატრი
3,4,10,11,17 და 18 დეკემბერი
"ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დამდგმელი რეჟისორი
რეზო გაბრიაძე
სპექტაკლის დასაწყისი
19 საათზე
იოანე შავთელის ქ.№26

